

# საქართველოს ქალი

11

1984

ISSN 0321-1509

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მილოცვა



ჩვენს სასიქადულო, გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, თბილისის სისხლის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ ქალთა კომიტეტის თავმჯდომარეს ნ ი ნ ო ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს 70 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის კოლექტივი და რედკოლეგია, რომლის წევრიც ქალბატონი ნინო თავად გახლავთ, ულოცავენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

„საქართველოს ქალი".
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67-ე წელი

1984 წლის 17 სექტემბერს ქ. თბილისში გამართულ აზია-აფრიკის ხალხებთან სოლიდარობის V საბჭოთა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა სსრკ ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, კოსმონავტი ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა.

17.726



# დავიცვათ სიცოცხლე პლანეტაზე

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, ქალები ყოველთვის და ყველა დროში განსაკუთრებით მწვავედ გრძნობენ ომის საფრთხეს. ქალთა ოდინდელი მისწრაფება, გაზარდონ შვილები, დაიცვან მშვიდობა ხალხთა შორის, განსაკუთრებით დიდია დღეს, როცა ომისა და მშვიდობის ძალთა ბრძოლა გადამწყვეტ სტადიაში შედის.

თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალის არაჩვეულებრივად გაზრდილმა როლმა გაზარდა თავისი ხალხების ბედისათვის, საერთოდ მთელი პლანეტის ბედისათვის მისი პასუხისმგებლობაც.

ყველა კონტინენტის ქალებს დღეს შეგნებული აქვთ, რომ ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის წარმატება დამოკიდებულია მათს ორგანიზებულ მოქმედებაზე. მასობრივი ომისსაწინააღმდეგო აქციების ახალი ფორმების ინიციატორები გახდნენ ევროპელი, ამერიკელი და კანადელი ქალები. სულ უფრო მტკიცედ ილაშქრებენ ბირთვული ომის წინააღმდეგ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქალთა ორგანიზაციები. საერთაშორისო ომისსაწინააღმდეგო ქალთა მოძრაობის აქტიური მონაწილენი არიან ჩვენი ქვეყნის ქალები. საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტი იმის მომხრეა, რომ ფართოდ ითანამშრომლოს საერთაშორისო საზოგადოებრიობის სხვადასხვა ძალებთან ახლანდელ და მომავალ თაობათა მშვიდობიანი მომავლისათვის.

ამ თანამშრომლობის განმტკიცების ახალი შესაძლებლობები ისახება იმის გამო, რომ უკვე მიმდინარეობს მზადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული ქალის ათწლეულის შედეგების განსახილველად მოწვეული მსოფლიო კონფერენციისათვის, რომელიც კენიის დედაქალაქ ნაირობში გაიმართება 1985 წელს. ათწლეულის ლოზუნგია თანასწორობა, განვითარება, მშვიდობა, რაც უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული უმწვავეს პრობლემებთან, რომლებიც დღეს კაცობრიობის წინაშე ისახება. ქალთა ფაქტობრივი თანსწორუფლებიანობის განხორციელებას ხომ ბევრად განსაზღვრავს თავიანთი ქვეყნების განვითარებაში მათი მონაწილეობა. ეს კი, თავის მხრივ მხოლოდ საყოველთაო მშვიდობის, მთელი პლანეტის თავზე ჩამოწოლილი ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების პირობებში შეიძლება. საერთაშორისო ქალთა დემოკრატიული მოძრაობა მომავალი კონფერენციისათვის ემზადება პროფკავშირულ, ახალგაზრდულ, რელიგიურ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმპერიალიზმის აგრესიული, ავანტიურისტული კურსის წინააღმდეგ შეთანხმებული და აქტიური მოქმედებისათვის აზია-აფრიკის ხალხებთან სოლიდარობის მოძრაობასთან ქალთა დემოკრატიული საზოგადოებრიობის თანამშრომლობას.

იმისათვის, რომ სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო გამალებულ შეიარაღებას, ომსა და აგრესიას, სამუდამოდ აღმოვფხვრათ ადამიანთა ცხოვრებიდან შიმშილი, სიღატაკე, უწიგნურობა, დაავადებები, საჭიროა პლანეტის ყველა მცხოვრების კოლექტიური შრომა. თითოეული ჩვენგანის წვლილი საჭიროა იმისათვის, რომ კაცობრიობამ გადააბიჯოს მესამე ათწლეულის მიჯნას არა ცივილიზაციის მომავლის გამო დიდი წუხილით, არამედ იმის მტკიცე რწმენით, რომ მისი განვითარების შესაძლებლობები უსაზღვროა, რომ სიცოცხლე პლანეტაზე საიმედოდ არის დაცული.

ნაწყვეტი ვ. ვ. ტერეშკოვას გამოსვლიდან



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე ხუთწლედი ბევრი მნიშვნელოვანი მომენტით აღინიშნა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში. უპირველეს ყოვლისა, გადაიდგა ახალი პროგრესული ნაბიჯი ტექნიკური გადაიარაღების გზაზე, რის შედეგადაც იმატა ნაყოფიერებამ, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, გაფართოვდა მისი ასორტიმენტი.

# კვების ინდუსტრიის სიახლეები

გვესაუბრება
საქართველოს სსრ
კვების მრეწველობის
მინისტრი
რესან კონცელიძე



საბლითე-საფუნთუშე საამქრო.

წარმოების უფროსი ქეთინო ჩხიკვაძე

უ რილობათა დადგენილებებიდან გამომდინარე, კვების ინდუსტრიის უპირველესი ამოცანაა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული დავალებების შესრულება, წარმოების მართვის სრულყოფა, ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესება. დასახულია დარგის განვითარების კომპლექსური მიზნობრივი პროგრამები, გადაჭარბებით სრულდება კაპიტალდაბანდებათა ათვისების, ძირითადი ფონდების მწყობრში ჩადგომის, სიმძლავრეთა გადიდების გეგმები.

ხშირ შემთხვევაში ახალი საწარმოო მშენებლობა და საწარმოთა ხელახალი ტექნიკური შეიარაღების ღონისძიებები იმდენად პროდუქციის წარმოების მოცულობათა გადიდებას არ ისახავს მიზნად, რამდენადაც საწარმოებში შრომის პირობების გაუმჯობესებას, წარმოების კულტურის დონის ამაღლებას, კუსტარული, წვრილი საწარმოების ნაცვლად თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, მსხვილი სამრეწველო საწარმოების საექსპლოტაციოდ გადაცემას.

ახლა ჩვენი მრეწველობის ბევრი საწარმო თავისი ტექნიკური აღჭურვილობით, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფით და მექანიზაციის დონით არ ჩამორჩება კავშირის მოწინავე საწარმოებს. ასეთებია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის საცდელი პურფუნთუშეულის კომბინატი, საფუარის წარმოება, ბაბუშერის უალკოჰოლო სასმელების ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „თბილხილწყალი“, ბორჯომის ჩამომსხმელი საწარმოები და სხვა.

მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის მეთერთმეტე ხუთწლედში საგრძნობლად გაიზარდა დიეტური და დიაბეტური პროდუქტების გამოშვება.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბავშვო ასორტიმენტის გაფართოებას და ხარისხის გაუმჯობესებას. ამჟამად პურის მრეწველობა უშვებს 13 დასახელების საბავშვო ნაწარმს. წლეულს 6 თვეში გამოშვებულია 1 000 ტონა საბავშვო ფუნთუშეული.

მე-11 ხუთწლედში საკონდიტრო მრეწველობაში ასორტიმენტის გაფართოება და პროდუქციის ბიოლოგიური თვისებების გაუმჯობესება მიმდინარეობს ნაწარმში შაქრიანობის შემცირებითა და ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით. შემუშავებულია 25 დასახელების ახალი საკონდიტრო ნაწარმი და დაზოგილია დეფიციტური ნედლეული — ფქვილი, შაქარი, ლიმონის მჟავა, კაკაოს მარცვალი.

ათვისებულია და გამოშვებულია საკონდიტრო ნაწარმი ჩაის კონცენტრატის, ვაშლის ფხვნილის, მშრალი და შედედებული რძის შრატის, ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული პიურის, ხილის ჩირისა და მურაბის, მანდარინის ფქვილისა და დაფნის ფოთლის ეთეროვანი ზეთის, ტარხუნის გამოყენებით.

უალკოჰოლო სასმელების მრეწველობაში ადგილობრივი ნედლეულის კომპლექსური გამოყენებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა პროდუქციის ასორტიმენტი. გამოშვებულია 11 დასახელების 6 მილიონზე მეტი დეკალიტრი ხილეული წყლები.

საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს სპეციალისტების მიერ ვიტამინის შემცველი ჩაის კონცენტრატის გამოყენებით დამზადდა ახალი მატონიზებელი სასმელი „ლებარდე“, რომლის წარმოება აითვისა საწარმოო გაერთიანება „თბილხილწყალმა“.

თბილისის კვების კონცენტრატების ქარხანაში დარგში პირველად განხორციელდა უალკოჰოლო სასმელების მრეწველობის „ნარჩენების“ (ლიმონის და ფეიხოას ანათალის) გამოყენება პიურეს დასამზადებლად, რომელიც ესაჭიროებათ საკონდიტრო მრეწველობაში.

პროდუქციის მაღალმხატვრულად გაფორმებისა და შეფუთვის პროგრესული ფორმების დანერგვის საქმეში დიდი როლი ეკისრება საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სამხატვრო საბჭოს.

გვინდა მომხმარებლებს ვუთხრათ, რომ რესპუბლიკის პურის მრეწველობა გადაიქცევა კვების ინდუსტრიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად. მარტო ბოლო 10 წლის მანძილზე ახალ საწარმოთა ექსპლუატაციაში შეყვანისა და მოძველებული ბაზის რეკონსტრუქციის ხარჯზე პურის მრეწველობის სიმძლავრე დღე-ღამეში 500 ტონით გაიზარდა. აშენდა ახალი პურის ქარხნები ტყვარჩელში, გორში, ფოთში, წყალტუბოში, ახალციხესა და ბაკურიანში. გვაქვს ქართული პურის ახალი მექანიზებული საწარმოები — თბილისში, თელავში, წყალტუბოში, მახარაძეში, ცხინვალში, რუსთავში...

თბილისში ამოქმედდა დარგის ყველაზე მძლავრი პურ-ფუნთუშეულის საცდელ-ექსპერიმენტული კომბინატი, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. აქვე აშენდება საწარმო, რომელიც ქართულ პურთან ერთად გამოაცხობს მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ პურ-ფუნთუშეულს. მეთორმეტე ხუთწლედში დაგეგმილია თბილისში ახალი პურის ქარხნის, შვიდი მექანიკური თონის მშენებლობა და არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქცია.

როცა ვლაპარაკობთ პურ-ფუნთუშეულზე, არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ ქართული, ეროვნული პურის მნიშვნელობა რესპუბლიკის მოსახლეობისათვის. დღეისათვის თბილისში მისი მთლიანი პროდუქციის გამოშვების მოცულობა 30 პროცენტს შეადგენს. ამჟამად შენდება მექანიზებული თონეები თბილისში, ცხაკაიაში, ქობულეთში, ბათუმში...

დიდი ყურადღება ეთმობა პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების საკითხებს. სიახლეა, მაგალითად, ე. წ. „გლეხური“ პური, რომელიც თავისი საგემოვნო თვისებებით უახლოვდება სოფლური ფქვილისაგან დამზადებულ პურს. მას უკვე აწარმოებენ თბილისის, ბათუმის, რუსთავის, გორის პურკომბინატები. დღეისათვის ამ ასორტიმენტზე მოთხოვნილება უფრო მეტია, ვიდრე ჩვენ ვუშვებთ. ყველაფერი ვიღონეთ „გლეხური“ პურის მოცულობის შემდგომი ზრდისათვის. თბილისში ძალიან მოსწონთ აგრეთვე ქართული დიაბეტური პური და მესხური ლავაში. ქუთაისში ამოქმედდა კომპლექსურ-მექანიზებული ხაზი „სიმინდის ბურბუშელის“ გამოსაშვებად. მომხმარებელს მოეწონა ბორჯომის პურკომბინატში ათვისებული ახალი პროდუქტი „ბლინის ფქვილი“. თბილისსა და ტყიბულში მოწონება ხვდა „საკნატუნას“. გათვალისწინებულია მისი გამოშვების შემდგომი გაფართოება.

პურის სასაქონლო სახის შესანარჩუნებლად სერიოზული ყურადღება ეთმობა პურის კონტეინერულ გადაზიდვას. იგი რესპუბლიკაში 1976 წლიდან არის დანერგილი და გამოიყენება თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, სოხუმში, ბათუმში, მახარაძესა და ფოთში.

რაც შეეხება პროდუქციის ხარისხს, პირდაპირ გეტყვით, მრეწველობის დღევანდელი დონე თავისი ტექნიკური, მატერიალური მაღალკვალიფიციური კადრებით იმის საფუძველს იძლევა, რომ პროდუქცია სტაბილურად ხარისხიანი იყოს. მაგრამ, არის შემთხვევები, რომ პროდუქციის ხარისხი არასტაბილურია, რაც წარმოების ცალკეულ უბნებზე საშემსრულებლო დისციპლინის მოდუნების შედეგია.

სიახლეებია უალკოჰოლო წყლების მრეწველობაშიც. 1983 წლის ნოემბერში საექსპლოატაციოდ გადაეცა ბაბუშერის უალკოჰოლო სასმელების ქარხანა, რომლის წლიური სიმძლავრე 2 მილიონი დეკალიტრია. 1983 წლის ივლისში „თბილხილწყალის“ გაერთიანების სათავო ქარხანაში პირველი პროდუქცია გამოუშვა ხილეული წყლების ახალმა ჩამომსხმელმა საამქრომ, რომელიც აღჭურვილია საზღვარგარეთული მაღალმწარმოებლური ორი ჩამომსხმელი ხაზით (25 ათასი ბოთლი საათში). ხაზები აღჭურვილია სინქრონულ-შემრევი და წყლის წინასწარი მოსამზადებელი დანადგარებით. საამქროს სიმძლავრე წელიწადში 4,5 მილიონი დეკალიტრი სასმელია. წარმოების მაღალტექნიკურმა დონემ და საგანგებო ღონისძიებებმა საშუალება მოგვცა აღნიშნული ტიპის ხაზებზე ჩვენს ქვეყანაში პირველად გამოგვეშვა სასმელი „პეპსი-კოლა“.

წლეულს ქუთაისის ლუდისა და ხილეული წყლების კომბინატს გამოეყო ორი იმპორტული ჩამომსხმელი ხაზი, რომელთა საექსპლოატაციოდ გადაცემა მკვეთრად გააუმჯობესებს კომბინატის ტექნიკურ დონეს.

1988 წელს დამთავრდება ლუდის ქარხნის მშენებლობა თბილისში. მისი სიმძლავრე წელიწადში 10 მილიონი დეკალიტრი იქნება. ამ ქარხნის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ შესაძლებელი იქნება მცირე სიმძლავრის ქარხნების ლიკვიდაცია და მაღალხარისხოვანი ლუდით რესპუბლიკის მოსახლეობის სრული დაკმაყოფილება.

რესპუბლიკაში ხილკენკროვანი ნედლეულის მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი რეზერვები სპეციალისტებს საშუალებას აძლევს შექმნან უალკოჰოლო სასმელების წარმოების საკავშირო მნიშვნელობის მძლავრი ნახევარფაბრიკატების ბაზა. იგი დაამზადებს სხვადასხვა კომპოზიციებსა და ნაყენებს ჩვენი ქვეყნის მრავალ რეგიონში მოქმედი უალკოჰოლო სასმელების საწარმოებისათვის.

ამის წინაპირობები კი უკვე არის. მაგალითად, ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში უშვებენ სასმელ „ტარხუნას“, რომლის ეტიკეტზე აღნიშნულია ჩვენი დამღა.

რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს საშუალება აქვს უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელ საწარმოებს მიაწოდოს კომპოზიციები „ისინდი“, „დარიალი“ და „ლებარდე“. ეს უკანასკნელი მატონიზებელი სასმელი სულ ახლახანს გამოუშვა „თბილხილწყალის“ გაერთიანებამ და უკვე მოსწონს მომხმარებელს. უახლოეს ხანში მოსკოვის საფირმო მაღაზიებს მივაწვდით მიტროფანე ლაღიძის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით და რეცეპტურით დამზადებულ და ბოთლებში ჩამოსხმულ ნაირსახეობის ვაჟინებს.

ბევრი სიახლეა მოსალოდნელი მომავალშიც. მაგალითად, იმპორტული დანადგარებით აღჭურვილი ახალი ხილის გადამამუშა-

ვებელი ქარხანა ამოქმედდება ბაბუშერაში, რომელიც წელიწადში გადაამუშავებს 10 ათას ტონა ციტრუსს და 10 ათას ტონა ვაშლს. მიღებული ნახევარფაბრიკატი უალკოჰოლო სასმელების წარმოებისათვის გამოიყენება და მას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს მივაწოდებთ.

საკონდიტრო მრეწველობა უკანასკნელ 10-15 წელიწადში სერიოზული პროგრესის გზაზე დგას. თუ 1970 წელს რესპუბლიკაში 29 ათასი ტონა პროდუქცია მზადდებოდა, წლეულს მომხმარებელი მიიღებს 54,5 ტონა მზა ნაწარმს. დღეს რესპუბლიკაში საკონდიტრო მრეწველობისათვის ცნობილი თითქმის ყველა ძირითადი ასორტიმენტი მზადდება შოკოლადის, კანფეტის, კარამელის, მარმელადის, ნამცხვრის, ტორტის და სხვათა სახით. თუ წინათ ბევრი ამ დასახელების ნაწარმი კავშირის სხვადასხვა რეგიონიდან შემოგვქონდა, დღეისათვის მთელი წარმოებული პროდუქციის თითქმის მეოთხედი ჩვენი რესპუბლიკიდან რუსეთის ფედერაციისა და შუა აზიის რესპუბლიკების სავაჭრო ობიექტებს ეგზავნებათ. მომხმარებლებს ძალიან მოსწონთ „თბილკონდიტერის“ შოკოლადის ფილა კოლოფებში დაფასოებული კანფეტის ნაწარმი: „მზიური“, „ლელა“, „მეტეორიტი“, ალუბლით, ხურმით, დასპირტული ხილით, ქლიავით დამზადებული კანფეტები. ყოველთვის დიდი მოთხოვნაა ბათუმის ირისისა, ქუთაისური „ნაკრებისა“ და „თბილისურისა“.

ქართველ მეკონდიტერეთა ძირითადი ამოცანაა მთლიანად უზრუნველყონ რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება საკონდიტრო ნაწარმზე (ასორტიმენტის მიხედვით). დღეისათვის ეს ამოცანა ნაწილობრივ შესრულებულია. მაგრამ ჩვენ ვალში ვართ მომხმარებლის წინაშე. საწარმოო სიმძლავრეთა უკმარისობის გამო ვერ ვაკმაყოფილებთ მოსახლეობას ჰალვით, ზეფირით, მარმელადით, კოლოფში დაფასოებული კანფეტებით. 1985 წლის ბოლომდე გავზრდით ჰალვისა და მარმელადის წარმოების სიმძლავრეებს, მთლიანად დავაკმაყოფილებთ ამ ასორტიმენტზე მომხმარებლის მოთხოვნილებას.

წლეულს, ივნისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში რესპუბლიკის კვების მრეწველობის მუშაკთა აქტივის კრებაზე განიხილეს კვების ინდუსტრიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი ზრდის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებისა და სხვა საკითხები. კრების გადაწყვეტილებები კიდევ უფრო დააჩქარებს ყველა დარგში სიახლეთა დანერგვას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და, რაც მთავარია, ფართო ასორტიმენტის საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვების გადიდებას.

საუბარი ჩაწერა **რამინ ჭელიძემ**





ეროვნული ბიბლიოთეკა

## სტახანოვური მოძრაობის 50 წელი

# ქართველი სტახანოველი

50 წლის წინათ, 1935 წლის 31 აგვისტოს, დონბასელმა მეშახტემ ალექსი სტახანოვმა ერთ ცვლაში 102 ტონა ქვანახშირი მოანგრია და 14 ნორმა შეასრულა.

ეს მანამდე არნახული შრომითი გმირობა, დიადი თაოსნობა იყო, რომელმაც მილიონობით საბჭოთა ადამიანი აღაფრთოვანა და ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად დარაზმა. ალექსი სტახანოვს მიმდევრები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გაუჩნდნენ.

საფეიქრო მრეწველობაში სტახანოვის პირველი მიმდევრები ვიჩუგსკის (ივანოვოს ოლქი) ნოგინის სახელობის ფაბრიკის მუშები ევდოკია და მარიამ ვინოგრადოვები იყვნენ.

მარიამ და ევდოკია ვინოგრადოვებს ბევრმა მიბაძა. საქართველოში სტახანოვური მოძრაობა ყველაზე მეტად აბრეშუმის საფეიქრო წარმოებაში გავრცელდა.

სტახანოვური მოძრაობის პირველ წელს ქუთაისის საწარმოებში 30 ათასამდე მუშა მუშაობდა. აბრეშუმის კომბინატის, საკონსერვო ქარხნის, სამკერვალო და მაუდის ფაბრიკების მუშათა 80 პროცენტს ქალები შეადგენდნენ. ისინი აქტიურად გამოეხმაურნენ სტახანოვურ მოძრაობას და ძველი ნორმების დამსხვრევა იკისრეს.

ევდოკია და მარიამ ვინოგრადოვების პირველი მიმდევარი გახდა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის კომკავშირელი სონია ხობუა. იგი დაიბადა 1914 წელს, ხონში (ამჟამად წულუკიძე). შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ხონის აბრეშუმის საქსოვ არტელში; 1931 წელს ქუთაისში გადავიდა და აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშა გახდა (1935 წელს ეს ფაბრიკა კომბინატად გადაკეთდა). სონია ერთდროულად ინდუსტრიულ მუშფაკში სწავლობდა, შრომასა და სწავლას კარგად უთავსებდა ერთმანეთს. 1931 წელს ლენინური კომკავშირის რიგებში შევიდა. მოწინავე ფეიქარი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ერთ-ერთ ინიციატორად ითვლებოდა.

1935 წელს, როცა სტახანოვური მოძრაობის ტალღა ფართოდ გაიშალა, სონიამ რამდენიმე დაზგაზე მუშაობის სურვილი გამოთქვა. თავდაპირველად ორ დაზგას ემსახურებოდა, შემდეგ — სამს, 1935 წლის 3 დეკემბერს კი მეოთხე დაზგაც თავისად გაიხადა. სისტემატურად იმაღლებდა ტექნიკური ცოდნის დონეს, ღრმად და სრულად ეუფლებოდა მარიამ და ევდოკია ვინოგრადოვების მეთოდს. დაგროვილი გამოცდილება სონიამ სხვებსაც გაუზიარა. მისი დახმარებით ნოვატორულ მეთოდებს დაეუფლნენ და მოწინავე ფეიქრები გახდნენ ე. ჯანელიძე, ვ. ბენიძე, ე. უგულავა, ბ. ნიკოლეიშვილი და მრავალი სხვა.

1935 წლის დეკემბერში თბილისში საქართველოს ახალგაზრდა სტახანოველთა რესპუბლიკური შეკრება გაიმართა. შეკრების მონაწილე თხუთმეტ ქუთაისელ სტახანოველს შორის 7 ქალი იყო: სონია ხობუა, შუშანა წოწორია, მიროპი ბენდელიანი (აბრეშუმის კომბინატი), ტატიანა რევიშვილი, თამარ ხანანაშვილი (სამკერვალო ფაბრიკა), ოლია მერიცკოვი, ნინო ძიძიგური (საკონსერვო ქარხანა).

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა სტახანოველმა სონია ხობუამ. მან დამსწრეთ გააცნო ის დიდი წარმატებები, რასაც სტახანოვური

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ალან მაქსი** თანამედროვე პროგრესული ამერიკელი მწერალია. მოთხრობა „მის ფერჩის ერთგულებაში“ ის გვიჩვენებს შეერთებულ შტატებში მოქმედი ჯაშუშური ორგანიზაციის — გამოძიების ფედერალური ბიუროს საქმიანობას. მოთხრობაში ნაჩვენებია, თუ როგორ ხრწნის მორალურად ეს ორგანო გულუბრყვილო და მიმნდობ მოსამსახურეებს, რომლებიც მსხვერპლად ეწირებიან უსულგულო კარიერისტების ინტრიგებს და, როგორ გარდაქმნიან ეს უკანასკნელნი ძთელ ქვეყანას პოლიციურ სახელმწიფოდ.

ალან მაქსი

# მის ფერჩის ერთგულება

მხატვარი ნანი შალიკაშვილი

პაწია მის ფერჩი წერილების ჩალაგებით იყო გართული, — ოცდაათი წლის განმავლობაში ასრულებდა ამ სამუშაოს ამავე დაწესებულების არქივში, — როდესაც კურიერმა უწყება მოუტანა. მასში მხოლოდ ეს ეწერა:

„მარგარეტ ფერჩი
წერილების ჩამწყობი განყოფილება
გამოცხადდით მრ. რიგსთან 402 ოთახში, 3 საათზე.“

„ვინ არის მისტერ რიგსი?“ — ჰკითხა მარგარეტმა მალალ, გამხდარ ბეტი ჯიმპლს, რომელსაც აქ ყველა ახალბედად თვლიდა იმის გამო, რომ სულ რაღაც ცამეტი წელი იყო, რაც ამ განყოფილებაში მუშაობდა.

ბეტი ჯიმპლი წუთით ჩაფიქრდა და თან ბარათების ჩაწყობას განაგრძობდა. „მე მგონი, ლოიალობის შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს,“ თქვა მან. „ნეტავ, რა უნდა?“

პაწია მის ფერჩმა პასუხად მხრები აიჩეჩა და მასაჩუსეტსის დანაყოფის ბარათი ჩაუშვა მასაჩუსეტსის დანაყოფის საკეცში. ლოიალობის შემმოწმებელი კომისიის გამოძახებას ყველა თანამშრომელი შეეძლო შეეშფოთებინა გარდა მის ფერჩისა; რამდენიმე თვის წინათ ამ კომისიის სისტემის შექმნა მას გულთან ახლოს არ მიუტანია. ჯერ კიდევ ოცდასამი წლის ქალიშვილი იყო, როდესაც აიდაჰოდან მოვიდა აქ, ამ დაწესებულებაში. დღემდე იგი მრავალი მთავრობის შეცვლის მომსწრე გამხდარა, მრავალი ბრძანება უნახავს, და შემდეგ — ისევ ახალი, მათი შემცველი ბრძანებულებები. კონსერვატიული მთავრობა იქნებოდა ქვეყნის სათავეში თუ ლიბერალური, მისთვის სულ ერთი იყო: ყოველივე ამას არავითარი ცვლილების მოხდენა არ შეეძლო ბარათების ჩაწყობის პროცედურაში. რაც შეეხება თანამშრომელთა შორის ლოიალობის შემოწმებას, მის ფერჩი აქაც მშვიდად გრძნობდა თავს—ლოიალობის სრული მომხრე გახლდათ. ეს მას ისევე არ აწუხებდა, როგორც ახალი კონსულის დანიშვნა მადაგასკარის კუნძულზე. როდესაც ამ დადგენილებას პირველი კვირეების განმავლობაში მოჰყვა ტალღა სამსახურიდან დათხოვნილი კაცებისა და ქალებისა, რომლებიც ანტიფაშისტურ ორგანიზაციებს ეკუთვნოდნენ ან საქმით თანაუგრძნობდნენ მათ, მის ფერჩმა ყოველივე ესეც ნორმალურ მოვლენად ჩათვალა. ბოლოს და ბოლოს, ვინ გაძალებთ მთავრობის დაწესებულებაში იმუშაოთ, და თუკი ხელისუფლება გეუბნებათ, რომ არ უნდა ეკუთვნოდეთ რაღაც ორგანიზაციებს, ხოლო თქვენ კი ამის სურვილი მაინც გაქვთ, მაშინ ადექით და გადადით სამუშაოდ ისეთ ადგილზე, სადაც არაფერი ექნებათ ამის საწინააღმდეგო, მორჩა და გათავდა.

ერთი სიტყვით, არ ღირდა მისტერ რიგსზე ფიქრით თავის შეწუხება სამ საათამდე. უამისოდაც ბევრი რამ ჰქონდა მას საფიქრებელი: მწვავე ნევრიტი ფეხში, რომელიც მთელი წლის განმავლობაში სტანჯავდა, და ნეტარებით აღსავსე ოცნება იმის გამო, რომ თერთმეტიოდე თვის შემდეგ შეძლებდა პენსიაზე გასვლას, მშობლიურ აიდაჰოში დაბრუნებას და ამგვარად სამუდამოდ მოასვენებდა ფეხებს ზეზეულა დგომისაგან.

როდესაც სამს ზუსტად ხუთი წუთი უკლდა, მის ფერჩმა უწყება მისის გერჰარტს, თავის ზედამხედველს უჩვენა, — მან ვერ შენიშნა შეშფოთება მისის გერჰარტის ფუნთუშა სახეზე, — და ლიფტით მეოთხე სართულზე დაეშვა.

402-ე ოთახის კარებთან მის ფერჩმა ჭაღარა თმაზე ხელი გადაისვა და შევიდა, უწყება კოხტა, წითელლოყება მდივან გოგონას გაუწოდა, — მის ფერჩს იგი სრულიად ბავშვად მოეჩვენა, — და მის წინ მისტერ რიგსის კაბინეტის კარი გაიღო.

„დაბრძანდით, მის ფერჩ“, — მიმართა მას მისტერ რიგსმა ფრიად ოფიციალური ხმით, თუმცა მის თვალებს, რომლებიც უსალტო სათვალიდან შემოჰყურებდა მის ფერჩს, უფრო მეტი მოუსვენრობა ემჩნეოდა, ვიდრე ოფიციალურობას შეეფერებოდა.

მის ფერჩი სკამზე ჩამოჯდა და ფიქრში გაუელვა, თუ რა შვების მომგვრელი ყოფილა ნაშუადღევს ჯდომა.

მისტერ რიგსმა ისე ჩაახველა, თითქოს კონგრესის გაერთიანებული სესიისათვის აპირებდა მიმართვას. „ლოიალობა ფრიად მნიშვნელოვანი რამ არის, მის ფერჩ“ — თქვა მან.

პაწია მის ფერჩმა თავის დაკვრით დაუმოწმა. ის არასოდეს დაფიქრებულა ამის შესახებ, მაგრამ მაინც, ერთგულების საკითხში მისტერ რიგსი უფრო ერკვეოდა ისევე, როგორც წერილების ჩაწყობის საქმეში თვით მის ფერჩი.

მისტერ რიგსმა საწერი მაგიდიდან რაღაც ბარათი აიღო და დააცქერდა.

„თქვენი დახასიათება საუცხოოა, მის ფერჩ“, — უთხრა მან. მის ფერჩმა კვლავ თავი დახარა.

მაგრამ, ხომ არ შეგინიშნავთ რაიმე ნიშანი ორგულობისა თანამშრომელთა შორის, — ეკითხებოდა მისტერ რიგსი მის ფერჩს, — ან ისეთი რამ, რომ ვინმე სრული ასი პროცენტით არ ემხრობოდა ჩვენს მთავრობას.

მის ფერჩმა მოლახა თავისი მეხსიერება, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა.

„არა“, — უპასუხა მან, — „ვერაფერს ვერ ვიგონებ“.

„მე მწამს, რომ თვალყური ფხიზლად გეჭირებათ და, თუ რაიმეს შენიშნავთ, გვაცნობებთ. გმადლობთ, მის ფერჩ, დღეისათვის კმარა“ — იგი ფანჯარაში მიაჩერდა მოპირდაპირე შენობას, სადაც ვინმე პიტერ გეინორი, იმ დაწესებულებაში მოქმედი შეერთებული შტატების ლოიალობის შემმოწმებელი კომისიის ხელმძღვანელი, გულმოდგინედ ადგენდა შურისაღმძვრელ მოხსენებითს ბარათს მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის შესახებ.

მარგარეტი თავის კაბინეტში დაბრუნდა და კვლავ მუშაობას შეუდგა. ჩასაწყობი წერილების ოთხი უზარმაზარი გროვის იქით მომუშავე ბეტი ჯიმპლმა გზა გამოიკვლია მისკენ.

„რამეს გედავებიან?“ — ჰკითხა მან.

მარგარეტმა წყნარად გაიცინა. „მე?, ოჰ, არა, ძვირფასო“. მან უმალვე დაივიწყა ყოველივე, რაც მოხდა და არც გახსენებია ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



საღამომდე, როდესაც ორი კვირის შემდეგ მის ფერჩი კვლავ გამოიძახეს მოხსენების გასაკეთებლად ლოიალობის კომისიის თავმჯდომარესთან. შეშფოთებულ მის ფერჩს ერთბაშად მოაგონდა, რომ მისტერ რიგსთან შეხვედრის შემდეგ არც თვალი სჭერია ფხიზლად, არც ყური. ვიდრე ლიფტი დაბლა ეშვებოდა, ცდილობდა უმცირესი ნაწყვეტი მაინც მოეგონებინა რომელიმე შემთხვევით ყურმოკრული საუბრისა, რაც გამოადგებოდა ლოიალობის კომისიაში, მაგრამ ვერაფრის გახსენება ვერ მოახერხა.

„საღამო მშვიდობისა, მის ფერჩ“, — უთხრა მისტერ რიგსმა. — „გაქვთ რაიმე ცნობა ჩვენთვის?“.

მარგარეტმა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ არავითარი ცნობა არ გააჩნდა.

„ფრიად სამწუხაროა“, — მისტერ რიგსმა ისეთი ხმით გამოთქვა სინანული, როგორითაც, მისი აზრით, პრეზიდენტმა უნდა უსაყვედუროს ევროპაში მარცხით დამთავრებული მისიიდან დაბრუნებულ საგანგებო ელჩს.

მარგარეტმა სცადა განემარტა, არა ვცნობ ბევრ ხალხს, რადგან თითქმის არსად არ მიხდებოდა ყოფნაო.

მაგრამ მისტერ რიგსმა შეახსენა, რომ ოცდახუთი კაცი მუშაობდა მის ფერჩის განყოფილებაში და რომ იგი უდავოდ ასზე მეტ ადამიანს ხვდებოდა ყოველდღიურად დაბლა სართულზე მოთავსებულ კაფეტერიაში.

მის ფერჩს თითქოს ყელში წაუჭირეს, სწორედ ისევე, როგორც ერთხელ, როცა მისის გერჰარტმა გამოიძახა იგი თავის კაბინეტში შეცდომის თაობაზე.

„ნამდვილად ერთგული მოსამსახურე“, — განაგრძო მისტერ რიგსმა საწერ მაგიდაზე ფანქრის რაკუნით, — მხოლოდ თვითონ კი არ იკავებს თავს არალოიალური მოქმედებისაგან, — ქალი იქნება თუ კაცი, როგორც ამას შემთხვევა მოიტანს, — არამედ სხვებსაც დაბრკოლებებს უქმნის ორგულობისათვის. ერთგულება მხოლოდ პასიური კი არ არის, არამედ აქტიურიც.“. განაგრძობდა იგი და თან ცდილობდა წარმოედგინა თუ როგორ გაისმოდა ეს ფრაზა საყოველთაო რადიოგადაცემაში.

„მესმის“, — წარმოთქვა მის ფერჩმა და გუნებაში ინანა, რომ მისტერ რიგსმა პირველივე შეხვედრისას ნათელი არ გახადა საქმის ვითარება.

„მეორე მხრივ“, — ამბობდა მისტერ რიგსი, — მხოლოდ აქტიური ორგულობა კი არ არსებობს, არამედ ის შეიძლება პასიურიც იყოს — როდესაც რომელიმე მოსამსახურე, ქალი იქნება თუ კაცი, როგორც ამას შემთხვევა მოიტანს, თავისთავად თითქოს სავსებით ლოიალური, შეიძლება შემწყნარებელი აღმოჩნდეს სხვისი ორგულობის მიმართ მეგობრულობის ყალბი გრძნობის გამო. „მისტერ რიგსის აზრით, სიტყვა „მეგობრულობა“ მარჯვედ იყო ნახმარი, მაგრამ შეიძლება მილიონობით რადიომსმენელს გამოპარვოდა, განსაკუთრებით მისისიპის დასავლეთით. მას ალბათ დასჭირდებოდა ნამდვილი ამერიკული შესატყვისის გამონახვა.

მის ფერჩს ერთბაშად მოეჩვენა, რომ საფრთხეში იმყოფებოდა, რომ მას სანდო პირად არ ჩათვლიდნენ და პენსიას დაუკარგავდნენ. იგრძნო, რომ სული ეხუთებოდა.

„იმედი მაქვს, უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევთ თქვენს ირგვლივ არსებულ ვითარებას და ყველაფერს, რაც ჩვენს მომავალ შეხვედრამდე მოხდება“, — დაასრულა მისტერ რიგსმა.

მარგარეტმა თავის დაკვრით დაუდასტურა და სამუშაო კაბინეტს მიაშურა.

„მოხდა რამე?“ — შეეკითხა ბეტი ჯიმპლი, როდესაც შენიშნა დაძაბული გამომეტყველება მის სახეზე, რომელიც პაწია ნაოჭებით ობობას ქსელივით იყო დაღარული. მის ფერჩმა არ უპასუხა.

შემდეგი დღეების განმავლობაში მისი მუშაობა სრულიად ახლებურად წარიმართა. თავის მოვალეობას იგი განახევრებული გულისყურით ასრულებდა, ხოლო ყურადღების დანარჩენი ნაწილი მთლიანად სხვა მომუშავე ქალების საქმიანობაზე ჰქონდა მიპყრობილი. შეუმჩნევლად უთვალთვალებდა ვინ ვის გამოელაპარაკებოდა და ისე, რომ ეჭვი არ აეღოთ, ფრთხილად ტრიალებდა მათ გარშემო, რათა ყური მოეკრა საუბრისათვის. კაფეტერიაში წასაუზმების დროს ის ჯდებოდა ყველაზე ხალხმრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალ მაგიდასთან, რითაც არღვევდა კიდეც თავის მრავალი წლის ჩვეულებას — შეძლებისდაგვარად მორიდებოდა კაცების საზოგადოებას, განზრახ ივიწყებდა დესერტის ყიდვას, რათა საბაბი ჰქონოდა კვლავ რიგში ჩამდგარიყო და საუზმე სხვა მაგიდაზე და მოსამსახურეთა სხვა ჯგუფთან ერთად დაესრულებინა.

მაგრამ ბაასი ყოველთვის საკმაოდ უწყინარი იყო, თუმცა, განგებ ხდებოდა ასე თუ არა, მის ფერჩს ვერ გაერკვია. მუსაიფი იშვიათად სცილდებოდა ახალ კინოფილმებს, რომელიმე უნივერსალური მაღაზიის ფასდაკლებულ ვაჭრობას, ვაშინგტონის აუტანელ პაპანაქებას, კაცთა შორის საუბარი კი, უმთავრესად, ბეისბოლის გუნდის „ვაშინგტონელ სენატორთა“ უხეირო თამაშს ეხებოდა.

თავის ჩითისფარდებიან საწოლ ოთახში, აგურით ნაგებ საერთო საცხოვრებელში №— სტრიტზე, მის ფერჩი მოუსვენრად ბორგავდა საწოლში ღამით და იმ დღეს მოსმენილ საუბრებს იგონებდა. გონების თვალით ათვალიერებდა თავისი ნაცნობების სრულ სიას, რომ აღმოეჩინა მათ მიერ ოდესმე დაცდენილი რაიმე ნიშანი ორგულობისა. საკუთარ თავთან ერთ-ერთი ასეთი მსჯელობის დროს გაახსენდა მჭლე ბეტი ჯიმპლი და ის კითხვები, რომლებიც ბეტიმ შეაგება მას მისტერ რიგსთან შეხვედრის შემდეგ. იყო თუ არა ეს უბრალო მეგობრობის გამოხატულება? ან გულუბრყვილო ცნობის მოყვარეობა? ან, — მარგარეტი სიბნელეს მიაჩერდა, — შეიძლებოდა კი, რომ რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გამო ბეტი ჯიმპლს სურვილი ჰქონოდა გაეგო, რა მოხდა ლოიალობის კომისიის კაბინეტში?

მეორე დღეს მარგარეტი იმდენს ეცადა, რომ კაფეტერიაში ბეტი ჯიმპლის გვერდით მოხვდა, მაგრამ საყურადღებო არაფერი მომხდარა. ამავე დროს კი მისტერ რიგსს ყოველდღე შეეძლო დაებარებინა იგი. მან გადაწყვიტა, რომ აღარ შეიძლებოდა დალოდებოდა მოვლენების ნორმალურ მსვლელობას. უნდა ეცადა წამოეცდენინებინა რამე ბეტი ჯიმპლისათვის. იგი თავისთავს გამოუტყდა, რომ ეს. ცოტა არ იყოს, მახის დაგებას ჰგავდა, მაგრამ თუ ბეტი ჯიმპლი უმწიკვლო იყო, არაფერი დაშავდებოდა.

მეორე დღეს, საუზმის დროს, მარგარეტმა მოულოდნელად მიმართა ბეტის: „ახლა გაზეთებში მხოლოდ რუსეთის შესახებ სწერენ.“

„ჰო“, — დაეთანხმა ბეტი ჯიმპლი.

პაწია მის ფერჩმა გაბედულება მოიკრიფა გადამწყვეტი დაკვრისათვის:

„ნეტავ მართლა თუ ისე ცუდია რუსეთი, როგორც მას ხატავენ“,

აქ ბეტი ჯიმპლი ერთი წამით შეჩერდა, ვიდრე პურის ნაჭერს ჩაიდებდა პირში. მერე უცბად ერთ მოხდენილ ქალზე მიუთითა, რომელსაც ლანგარი მიჰქონდა:

„რა კოხტა კაბა აცვია ლოტი უაილს, არა?“

გაწბილებული მარგარეტი ისევ თავის კრემიან ყველსა და ცივ სენდვიჩს მიუბრუნდა.

მეორე დღეს კი მისტერ რიგსის კაბინეტში გამოძახება ბეტი ჯიმპლს ხვდა წილად.

„დაბრძანდით, მის ჯიმპლ“, — მიმართა მისტერ რიგსმა თავის წინ მდგომ ბეტი ჯიმპლს. მისტერ რიგსმა ფანჯრიდან გახედა მოპირდაპირე შენობას, სადაც პიტ გეინორს უკვე სამი არაკეთილსაიმედო თანამშრომელი ჰყავდა აღრიცხვაზე აყვანილი მისტერ რიგსის ერთის სანაცვლოდ. „ერთგულება ფრიად მნიშვნელოვანი რამ არის, მის ჯიმპლ“, განაგრძო მან.

„ო, დიახ“, — დაეთანხმა მის ჯიმპლი.

მისტერ რიგსმა რაღაც ბარათი აიღო საწერი მაგიდიდან და დააცქერდა. „თქვენი დახასიათება საუცხოოა, მის ჯიმპლ“, — დაუმატა მან. მაგრამ, ხომ არ შეუნიშნავს მის ჯიმპლს რაიმე ნიშანი ორგულობისა თანამშრომელთა შორის, ან ისეთი რამ, რაც გამოხატავდა, რომ ვინმე სრული ასი პროცენტით ჩვენი მთავრობის მომხრე არ იყო.

„ოჰ, არა“ — მიუგო ბეტიმ. უცბად მის ფერჩის შენიშვნა გაახსენდა, წინადღით საუზმის დროს თქმული. მაგრამ ღირდა კი ეს იმად, რომ მისტერ რიგსი დაინტერესებულიყო? ეს ხომ უბრალო ჭორიკნობას ემსგავსებოდა!

„სრულიად არაფერი?“ — დაჟინებით გაიმეორა მისტერ რიგსმა, და ვიდრე დაუფიქრდებოდა, რას ამბობდა, მის ჯიმპლმა იკითხა: „თუ, მაგალითად, ვინმე ეჭვს გამოთქვამდა, რომ რუსეთი არც ისე ცუდი უნდა იყოს, როგორც მას გაზეთები ხატავენ, იქნება ეს...“

მისტერ რიგსი უცბად გადმოიხარა მისკენ ანთებული ჭროლა თვალებით. აგზნებისაგან ცალი ყური ოდნავ უხტოდა.

„სწორედ, მის ჯიმპლ, სწორედ“! — წამოიძახა მან. — „კეთილ ინებეთ და მიბოძეთ იმ პიროვნების გვარი, რომელმაც...“

მის ჯიმპლმა ტუჩი მოიკვნიტა. თვალებზე ცრემლები მოაწვა. არ მოელოდა თუ ასეთ საქმეში გაებმებოდა.

„აჰ, კარგია, კმარა, მის ჯიმპლ“, დაატანა მისტერ რიგსმა და ცდილობდა თავისი მოუსვენარი თვალები მის სახეზე შეეჩერებინა. „მე მხოლოდ გთხოვთ მომცეთ ცნობა, რომელიც შესაძლოა მეტად ძვირფასი აღმოჩნდეს თქვენი მთავრობისათვის.“

„ეს იყო მარგარეტ ფერჩი“, — ჩურჩულით წარმოთქვა ბეტიმ.

მისტერ რიგსის სახეზე განცვიფრება აისახა. „დიდად გმადლობთ, მის ჯიმპლ,“ — თქვა მან.

„მე მაინც მტკიცედ მჯერა, რომ ის ცუდს არაფერს ფიქრობდა“, — სცადა გაჯიუტება ბეტიმ.

„დიდად გმადლობთ, მის ჯიმპლ“, გაიმეორა მისტერ რიგსმა და წამოდგა ისეთი სახით, როგორც პრეზიდენტს შეჰფერის კონფერენციის დამთავრებისას.

ბეტი ჯიმპლი თავს უგუნებოდ გრძნობდა და სირცხვილის ალმური სწვავდა, ვიდრე ლიფტით მაღლა ადიოდა. სამუშაო ოთახში შესვლისას მან მზერა აარიდა მის ფერჩის თვალებს.

ერთი საათის შემდეგ მისტერ რიგსი უკვე ეუბნებოდა: „დაბრძანდით, მის ფერჩ“, — ფრიად შეშინებულ მის ფერჩს. მის მარცხენა მხარეს იჯდა ტანდაბალი, მსხვილი, შუახნის კაცი, მარჯვნივ კი ვიღაც ჩამომჭკნარი, ხანშიშესული ქალი.

„ჩვენთვის გასაგებია თქვენი გულისტკივილი იმის გამო, რომ ამერიკული პრესა პირუთვნელად ეპყრობა რუსეთს“, — მიმართა მისტერ რიგსმა გადაჭარბებული თავაზიანობით.

ბეტი ჯიმპლთან კაფეტერიაში მომხდარმა საუბარმა ელდასავით გაუარა თავში მარგარეტს და მისი ფრჩხილები ხელისგულებს ჩაესო. „ოჰ, არა“, — შეჰყვირა მან, — „ეს თქვენ ბეტი ჯიმპლმა გითხრათ“.

„ვინ მითხრა არა აქვს მნიშვნელობა, მის ფერჩ“, თქვა მისტერ რიგსმა მშვიდად. „ჩვენ მხოლოდ თქვენი აზრი გვაინტერესებს ამ საკითხზე“.

მის ფერჩმა სცადა განემარტა, რომ იგი ცდილობდა ბეტი ჯიმპლის გამოტეხვას: „თქვენ თვითონ მთხოვეთ, შემეტყო, თუ რას ამბობენ და ფიქრობენ სხვები“.

„რასაკვირველია“, — უპასუხა მისტერ რიგსმა, „მაგრამ ჩვენ, ბუნებრივია, გვაინტერესებს ისიც, თუ რას ამბობთ და ფიქრობთ თქვენ თვითონ“, და ამის შემდეგ კომისიის წევრები ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში აწარმოებდნენ მის დაკითხვას.

„გმადლობთ, მის ფერჩ“, წარმოთქვა მისტერ რიგსმა ბოლოს. როდესაც მის ფერჩი გამოვიდა, მსხვილმა კაცმა მიმართა მისტერ რიგსს:

„რას იტყვით, უოლტერ?“

მისტერ რიგსმა ჩაახველა. „ძნელია რაიმეს თქმა. შესაძლებელია, რომ იგი მართლაც ცდილობდა ბეტი ჯიმპლის გამოტეხვას, როგორც თვით ამტკიცებს. მეორე მხრივ, ეს შეიძლება მოგონილიც იყოს თავის დასაძვრენად. ძნელია აგრეთვე თქმა, მისი ნერვული ქცევა დანაშაულს მოწმობდა თუ უდანაშაულო შიშის ბრალი იყო. ჩვენ არ შეგვიძლია ვერწმუნოთ რომელიმე მოსაზრებას“.

კომისიის წევრებმა თანხმობის ნიშნად თავები დახარეს.

„მთავარი, ჩემი აზრით, განაგრძო მისტერ რიგსმა, თან თავი შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს მთავარ მოსამართლედ წარმოიდგინა და ცალი თვალით პიტ გეინორის კაბინეტს გახედა, — ის კი არ არის დამნაშავეა იგი თუ არა, არამედ ის, შეუძლია თუ არა მთავრობას თავის სამსახურში იყოლიოს საეჭვო შეხედულებათა მქონე პიროვნება. ასეთ შემთხვევაში მე ვფიქრობ, რომ საკითხი მთავრობის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.“

მეორე დღეს წერილების ჩამწყობი განყოფილების თანამშრომლებს ველარ გაეგოთ, თუ რა დაემართა მის ფერჩს.

ინგლისურიდან თარგმნა
**გიორგი ჯაბაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერის სიყვარულით ანთებული გულები



მარცხნიდან: ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ეკატერინე გაბაშვილი და კეკე მესხი.

## კეკე მესხის დაბადების 130 წლის გამო

1873 წელს გაზეთი „დროება“ (№ 8) მკითხველს ატყობინებდა: „ამ კვირის ორშაბათს კიდევ ორი ჩვენებური ახალგაზრდა გაემგზავრა სასწავლებლათ სამზღვარს გარეთისაკენ: ერთი ბუნებითი მეცნიერების კანდიდატი პეტრე მელიქიშვილი და მეორეც იმის და — ეკატერინა მელიქიშვილისა...“

კეკე მესხი იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, გაზეთ „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხის ცხოვრების თანამგზავრი, იგი ყოველთვის მხარში ედგა თავის სასახელო მეუღლეს, გარკვეულ დახმარებას უწევდა „დროების“ გამოცემაში, ხშირად უზიარებდა საკუთარ შეხედულებებს გაზეთში გამოქვეყნებული მასალის შესახებ, რაც საგრძნობლად უწყობდა ხელს გაზეთის რედაქტორს მუშაობაში. ს. მესხი მოხიბლა კეკეს საზოგადოებრივმა საქმიანობამ, მისმა შრომისმოყვარეობამ, რაც ქართველი ხალხის კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული.

სერგეი მესხის პირადი წერილებიდან ნათლად ჩანს თუ როგორ არიგებდა იგი თავის მომავალ მეუღლეს და რაოდენ დიდი გავლენა ჰქონდა კეკეზე სერგეის აზრს, შეხედულებას.

1873 წელს, კეკეს ციურიხში ჩასვლის ერთი კვირის თავზე მიწერილ წერილში, სერგეი მესხი ერთხელ კიდევ შეახსენებდა თუ რაოდენ დიდი მოვალეობა ეკისრებოდათ იმდროინდელ ქართველებს, რათა ხალხი კრიზისული მდგომარეობიდან გამოეყვანათ. ს. მესხს მხედველობაში ჰქონდა ერის საუნჯის — ენის დევნა, რომელიც დღეს თუ ხვალ შეიძლება სრულიად მოისპოს, თუ დამცველი არ გამოუჩნდაო. „განა მარტო ენა?, — განაგრძობს სერგეი მესხი, — აიღე სხვა ყველაფერი, რაც კი რომელსამე ხალხს ხალხათ ხდის! აიღე, მაგალითად ხასიათი, ჩვეულება, მიწა-წყალი და საზოგადოდ ჩვენი ზნეობითი და მატერიალური მხარეები. ყველაფერს გარეშე და შინაური მტრები ემუქრებიან, ყველაფერს დარაჯი და დამცველი სჭირია. ასე რომ ჩვენი დანიშნულება, შედარებით რომ ვსთქვათ, სწორეთ დარაჯის ანუ ყარაულის დანიშნულებასა გავს: როგორც ყარაულმა უნდა დაიცოს რომელიმე სახლის ან ვსთქვათ ადამიანის სიმართლე, ისე ჩვენც ვალდებულნი ვართ რაც ღონე გვექნება და მოხერხება ნებას მოგვცემს, დავიცვათ ჩვენი საწყალი საქართველო. „ჩვენ“ რომ ვამბობთ, შენ, რასაკვირველია მარტო მე და შენზე არ მიიღებ: მე ვამბობ ჩვენი მომხრის კაცებზე, ყველა ახალგაზრდობაზე და საზოგადოთ იმ პირებზე, რომელთაც თავის დანიშნულება ესმით და რომელთ რაზმში ჩვენც უნდა ჩავდგეთ...“

კეკემ თავიდანვე განსაზღვრა თავისი დანიშნულება და მთელი ცხოვრების მანძილზე მისი საქმიანობა მაგალითი იყო სამშობლოსათვის გულანთებული ადამიანისა. სერგეი მესხს სურდა, რათა კეკე და ციურიხში მყოფი ქართველობა საფუძვლიანად დაუფლებოდნენ სპეციალობას, დრო უქმად არ დაეხარჯათ და სწავლამიღებულნი თავიანთ ქვეყანას გამოსდგომოდნენ.

სერგეის უსაზღვროდ უყვარდა თავისი მომავალი მეუღლე. ეს სიყვარული ამაღლებდა მას, ამხნევებდა და მუშაობაშიც დიდ სტიმულს აძლევდა. ერისათვის თავდადების მაგალითად თამარ მეფეს უსახელებდა.

„რაც დრო მიდის, თანდათან ვგრძნობ,

რომ უფრო და უფრო ძლიერად მიყვარხარ და მომწონხარ, — წერს ერთ-ერთ თავის წერილში სერგეი მესხი. — მთელი საათი მე ვტკბები იმ ტკბილი დროების მოგონებით, რომელიც შენთან გამიტარებია; მე ვტკბები შენი სიყვარულით. ერთი სიტყვით, მაშინ მე კაცად ვხდები, ისეთ კაცად, რომელსაც სიყვარული, სიცოცხლე და ბრძოლა ჰსურს... მე მაგონდება, რომ ეხლანდელი ქართველი უნდა ებრძოდეს მტერს ამ ჩვენი ქვეყნის აღდგინებისათვის, და შენი დანახვა ჯანს მიმატებს, ენერგიას და იმედს მაძლევს, რომ ამ ბრძოლას ვიკისრებ, და შეძლებისა და გვარათ, ორივენი ვემსახურებით იმ იდეალს, რომელიც ჩვენ მუდამ ფანარსავით უნდა გვინათებდეს ჩვენი ცხოვრების გზასა. დიახ! ჩემო კეკე, მე ჩემს თავს ბედნიერათ ვგრძნობ, მე შენ მიყვარხარ და შენც მეც გიყვარვარ; მაგრამ ამაზე უფრო ბედნიერებათ ის მიმაჩნია, რომ მე მაქვს შემთხვევა ჩემს ქვეყანას ვემსახურო. მე ვგრძნობ, რომ შენი სიყვარული მამხნევებს, მამაღლებს და მაკეთილშობილებს!..“

სერგეი მესხი ურჩევდა კეკეს, რათა ისეთი საგნებისათვის მიექცია ყურადღება, რომელიც მისი გონების გახსნას დაეხმარებოდა. ეს უნდა ყოფილიყო მისი პროგრამა საზღვარგარეთ სწავლისას. სერგეის განსაკუთრებით ახალისებდა ის, რომ ორივენი სამშობლოს ბედნიერებისათვის იღვწოდნენ. „ალტაცებაში მოვდივარ, — წერს სერგეი, — როცა წარმოვიდგენ, რომ, თუმცა ჩვენ ორივენი გენიოსები არა ვართ, მაგრამ შრომა ორივეს გვიყვარს და დარწმუნებულიცა ვარ, რომ, თუ სხვა რამე დაბრკოლება (მაგ: ავადმყოფობა ან სხვა რამე) არ შეგვემთხვა, ჩვენ სიცოცხლეში უფრო მომეტებული საქმის გაკეთება, უფრო მომეტებული სარგებლობის მოტანა შეგვიძლია ჩვენი სამშობლოსათვის, ვიდრე სხვა ზოგიერთებს, რომელთაც გენიოსებათ მოჰყავთ თავი“.

კეკე მესხი ციურიხში ზედმიწევნით დაეუფლა ფრანგულ და გერმანულ ენებს. სამშობლოს მოშორებული ახალგაზრდა ქალი დღეში ცამეტ საათს მუშაობდა, ენების შესწავლასთან ერთად ფრანგულ და გერმანულ რომანებს კითხულობდა, ეწეოდა მთარგმნელობითს მუშაობას, გულდასმით კითხულობდა გაზეთ „დროებას“ და მის რედაქტორს საკუთარ შეხედულებებსაც უზიარებდა გაზეთის გამოცემის გასაუმჯობესებლად. ციურიხში კეკეს გული და ოცნება მაინც სამშობლოს დასტრიალებდა, თვალწინ სულ მშობლიური ადგილები ესახებოდა. ციურიხის მშვენიერი მიდამოები არაფრად ეჩვენებოდა მშობლიური ქვეყნის ბუნებასთან შედარებით.

—„ყველა ქართველები ერთათ ვიკრიფებით, ვსჯით, ვმუშაობთ, რომ არ დაგვავიწყდეს ჩვენი დედა ენა და შემდეგში ვიყვენეთ სასარგებლო ჩვენი სამშობლოსათვის, ამასთანავე უფრო კარგათ მომზადებულები“...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კეკე მელიქიშვილი ხშირად აწვდიდა თავის შეხედულებებს სერგეის „დროებაში“ გამოქვეყნებული მასალის შესახებ. ისევე როგორც კეკე აფასებდა სერგეის აზრსა და რჩევას, სერგეიც ხშირად ეკითხებოდა თუ როგორ მოსწონდა მას „დროების“ ესა თუ ის ნომერი და ყურადღებით ისმენდა თავისი მეგობრის სწორ მოსაზრებებს.

1873 წლის 5 მაისს მიწერილ წერილში კეკე დიდ შეფასებას აძლევს გაზეთ „დროების“ მეთოთხმეტე ნომერს და მასში მოთავსებულ სერგეი მესხის წერილს „კრებულის“ შესახებ. ინტერესმოკლებული არ იქნება ამ წერილის მკითხველისათვის გაცნობა, ვინაიდან მასში კარგად მოჩანს ახალგაზრდა კეკე მელიქიშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული გემოვნება, რაც ხშირ შემთხვევაში ანგარიშგასაწევი იყო. ჩვენ აქ არ შევუდგებით მისი აზრების შეფასებას. ჩვენი მი-

# წაუკითხეთ პატარებს



### ზოზინა ეკა

არ გეგონოთ ზოგივით
ჩვენი ეკა ზოზინა:
იმ პაწია თითებით
დიდი ცომი მოზილა.
გოგო არის ცქრიალა,
როგორც ქორი-გეზელი.
გამოაცხო ღუმელში
გემრიელი ლევზელი.
ონკანიდან თქაფუნით
წყალი მოდის თქრიალა,
ხონჩა, ჯამი, ბურჯელი
ეკამ დააკრიალა.

მარიკა თანიაშვილი

### კოდალას

ტყეში რომ აკაკუნებ,
ხომ არა ხარ ხურო,
პაპაჩემის ბოხოხი
მოდი, დაგახურო.

ვასილ სიმონია

### ნატა ბებო

გარეთ მარტო ველარ გადის,
თვალს დააკლდა ნატა ბებოს.
დაგვიძახებს: — სახეირნოდ
წამიყვანეთ, პატარებო!

რა ვქნა, ხომ არ მემალებით? —
ხელს გვიშვერს და თან იცინის.
„მე უთქვენოდ არ ვარგივარ,
თქვენ ხართ ჩემი თვალისჩინი“.

მოხუცს გვერდით დავუდგებით,
აქეთ ქეთო — იქით ნინო
და სახლიდან ჩვენს ბაღჩაში
მიგვყავს ხოლმე სახეირნოდ.

თემურ შიმშილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზანი მხოლოდ ის არის, რომ ნათლად დავინახოთ თუ როგორ ედგა კეკე მხარში თავის მომავალ მეუღლეს და როგორ ცდილობდა, რათა ქართველ მკითხველს ყოველმხრივ საინტერესო და ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი გაზეთი ჰქონოდათ ხელთ. კეკე მესხი წერს: „... ამ მეთოთხმეტე ნომერ „დროებამ“ რომ ერთი წლის სიცოცხლე მომიმატა, საკვირველი ცოცხალი და აზრიანია შენი გარჩევა „კრებულისა“. სწორეთ აღტაცებაში მოგვიყვანა აქ ჩვენ ყველანი. ამას გარდა, ძალიან ლამაზ, ადვილ გასაგონს და სასიამოვნო ენაზე არის დაწერილი. ისე რომ სრულებით თითქმის ვერ ვიცანი, ჩემი საყვარელი სერგეი. რა ნაბიჯია მართლა! ეს აზრები რასაკვირველია, სიტყვით გამიგია შენგან და ჩვენ როდესაც ვილაპარაკებდით ამაზე, ისევ ამ აზრებს გამოსთქვამდი ხოლმე, მაგრამ როგორღათაც ისევ ცოცხლათ და ლამაზათ არის დაწერილი, რომ აღტაცებაში მომიყვანა. მეტად მახარებს მე შენი ენის შემუშავება, რომ შევადაროთ შენი ადრინდელი დაწერილი სტატიები და ეხლანდელი, სრულებით ვერ იცნობ და სხვა და სხვა ავტორებისა ეგონებათ...“

სერგეი მესხი აღტაცებული იყო კეკეს გონებაგახსნილობით, მაგრამ ქართულს უწუნებდა. იგი ურჩევდა კეკეს, ღრმად შეესწავლა დედაენა, რათა „ლოღიკურათ და დალაგებით შეეჩვიო შენი აზრების გამოთქმას ქაღალდზე და საზოგადოთ წერასა“.

შემდგომში კეკემ ისე ჩინებულად შეისწავლა ქართული, რომ მისი თარგმანები ნორჩი თაობის საყვარელი საკითხავი წიგნები გახდა.

კეკეც მეგობრულად ურჩევდა სერგეის, რომ ცოდნა კიდევ უფრო გაეღრმავებინა სხვადასხვა ლიტერატურის წაკითხვით. „შენ კარგათ იცი რომ კარგი სტატიების დასაწერათ და კარგი გაზეთის წასაყვანათ ბევრი კითხვა და გონების გახსნაა საჭირო“, — სწერდა კეკე თავის მეგობარს და რწმენას გამოთქვამდა, რომ სერგეისაც კარგად ესმოდა ყოველივე ეს, საქმის უკეთესად წარსამართავად. სერგეი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მისი კეკე თუ გვერდით ეყოლებოდა და ერთად იმუშავებდნენ „ღმერთმანი, კარგათ წავა საქმეები“-ო, — წერდა თავის მომავალ მეუღლეს და მოუწოდებდა, იმას რომ, სიცოცხლე საზოგადო შრომაში გაეტარებინათ.

უფრო მოგვიანებით ს. მესხი წერდა: „...ორი რაიმეს თქმა თამამად შემიძლიან და ამის თქმას მე, თავდაბალ კაცს, კვეხნად ვერავინ ჩამომართმევს. პირველი, რომ ერთგული ვიყავი იმ დიდი საქმის აღსრულებაში, რომელიც ვიკისრე და მეორე, რომ ბოროტ-განზრახვას, კერძო, პიროვნულ რაიმე მიზანს ჩემს სალიტერატურო მოღვაწეობაში არასოდეს არ ჰქონია ადგილი და ამ განზრახვით არასოდეს არ გადამიხვევია იმ გზიდამ, რომელიც მე, ჩემის სინდისით და გაგებით, სწორ და ნამდვილ გზად მიმაჩნდა“.

და ამ სიძნელეებით აღსავსე გზაზე კეკე მესხი მუდამ მხარში ედგა თავის სახელოვან მეუღლეს, ორივენი თავდაუზოგავად იღვწოდნენ საქართველოს კეთილდღეობისათვის.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კეკე ჟურნალ „ჯეჯილის“ უახლოესი თანამშრომელი გახდა. იგი სისტემატურად აწვდიდა ნორჩ მკითხველს გერმანული და ფრანგული ენებიდან გადმოთარგმნილ საინტერესო ნაწარმოებებს, რითაც განსაკუთრებულად შეუწყო ხელი ქართული საბავშვო მწერლობის გამდიდრებასა და განვითარებას.

დასაფასებელია კეკე მესხის წვლილი ქართული ეროვნული კულტურის განვითარებაში.

ზურაბ გოცაძე



# კასპის ბაღებში

დალი სალამაშვილი ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ოთხი წელია მუშაობს, გამოცდილი მეურნესავით ტრიალებს ხეხილის ბაღებსა და ზვრებში, მოჰყავს ბოსტნეული, შაქრის ჭარხალი, თავს არ იზოგავს მოსავლის აღებისას, პირუტყვის საკვების დამზადებისას...

როგორც კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, დალი ახალგაზრდებს მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა-ვალდებულებების შესასრულებლად რაზმავს, თავდადებული შრომის პირად მაგალითს აძლევს.

შარშან ხახვის ჩაბარების გეგმა 288 პროცენტით შესრულა. შაქრის ჭარხლისა — 102 პროცენტით.

წლეულს დალიმ 0,20 ჰექტარ ხახვის ნათესს მოუარა, 7 ტონამდე მოსავალი აიღო, მაშინ, როცა გეგმა 2,2 ტონას ითვალისწინებდა. ამდენივე ფართობზე შაქრის ჭარხალსაც არ დააკლო მოვლა-პატრონობა და გეგმა ორმაგად შესრულა.

კოლმეურნეობაში წელს ხილის უხვი მოსავალი მოვიდა. კრეფაში ყველაზე დიდი წვლილი დალი სალამაშვილმა და მისმა კომკავშირელებმა შეიტანეს...

ქვემო ჭალა კასპის რაიონში ერთ-ერთი ლამაზი და შეძლებული სოფელია. მას დალისთანა გამრჯე და შრომისმოყვარე ახალგაზრდები ალამაზებენ.

ნ. ედიშერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ღვაწლმოსილი

მსახიობის ხელოვნებას არსებითი თვისება ახლავს — ხალხთან კონტაქტში, მაყურებლის თვალწინ იქმნება, ცოცხლობს ფარდის ახდიდან ფარდის დაშვებამდე და შემდეგ კი გუშინდელი დღის მოგონებათ-ღა რჩება. მხოლოდ აქა-იქ შემორჩენილი, უკვე ძვირფას რელიკვიებად ქცეული თეატრალური აფიშები ან პროგრამები, გაზეთების რეცენზიები თუღა გაგვახსენებს ამათუიმ ხელოვანის ღვაწლსა და ამაგს.

ამ დღეებში ჩემს საკუთარ არქივში ვნახე ერთი ასეთი რელიკვია — სათუთად შენახული „მოსაწვევი ბარათი", რომელიც იუწყებოდა, რომ „საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, თეატრალური საზოგადოება და თელავის თეატრი 1966 წლის 16 დეკემბერს აწყობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მარიამ ალექსანდრეს ასულ ღლაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილ შემოქმედებითს საღამოს".



მ. ღლაშვილი

ბარათზე აღბეჭდილი სურათიდან თვალებში აკიაფებული ღიმილით შემოგვცქერის ყველასათვის ნაცნობი და მახლობელი, საყვარელი მსახიობი მარიამ ღლაშვილი. ის დაფიქრებული გასცქერის თავის შინაარსიან, ლამაზსა და მღელვარე შემოქმედებით დატვირთულ განვლილ გზას და თითქოს შთაგვაგონებს: პატივი ეცით მსახიობის კეთილშობილურ ხელოვნებას, რომელიც ასპეტაკებს, შინაარსს მატებს, აღაფრთოვანებს და ახალისებს ადამიანის სულსა და გონებას, შრომასა და ყოფა-ცხოვრებას.

ვუყურებთ პორტრეტს და გვახსენდება კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც თან ახლავს საერთოდ პერიფერიის თეატრის მსახიობის, და კერძოდ მ. ღლაშვილის ხელოვნებას: ის ყოველთვის ჩვენთან არის, თავის მაყურებელთან, შინ და გარეთ, ჭირშიც და ლხინშიც. ისეთი გულწრფელობით იზიარებს მწუხარებას, რომ ჭეშმარიტად უმსუბუქებს ჭირისუფალს კაეშანს. ლხინში კი პირველი მომლხენია, ხალისისა და სიხარულის შემომტანი. და ეს ჩვენი შინაური ადამიანი გარდასახვის ჭეშმარიტად დიდოსტატი უნდა იყოს, რომ შეიძლოს სცენიდან დაგვაჯეროს, თავისი გმირის იერსახე — კონტრასტული და განსხვავებული.

გვახსენდება მსახიობის მიერ უბადლო ოსტატობით სცენაზე გაცოცხლებული კინტო და გლეხის გოგო, თავადის ასული, ლედი და ფრაუ, პრინცესა და ბოშა ქალი, ღვთისმოსავი, სათნო და კდემამოსილი მონაზონი და ანჩხლი, ჭორიკანა, თავგასული დედაკაცი, მოსიყვარულე დედა და ბედდამწვარი შინაბერა. და კიდევ რამდენი ხასიათი, შეუქმნია მას ჩვენს სცენაზე.

გარდასახვისა და გამომსახველობის მდიდარი ნიჭი და უნარი, დახვეწილი ქართული მეტყველება, სმენა, ჟღერადი ხმა, მოხდენილი ცეკვა და დამატკბობელი ქალაქური ბაიათები; — აი ის სიმდიდრე, ნიჭი და უნარი, რომელსაც ფლობს ქართული სცენის ეს მოამაგე.

მ. ღლაშვილის მიერ შესრულებული როლები უბრალო, მართალი და გულწრფელია. მისი სცენაზე გამოჩენა ყოველთვის სიხარულს ჰგვრის მაყურებელს. იგი არასოდეს იმეორებს უკვე ნათქვამს, უკვე წარმოსახულს. ყოველთვის ახალი და ორიგინალურია, მუდამ განსხვავებულია ფორმითაც და შინაარსითაც, კონტრასტულია და მრავალსახოვანი.

აი თუნდაც ზოგიერთი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული იერსახეები: კინტო (ა. წერეთლის „ვოდევილი"), კრუჩინინა (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი"), ქეთევანი (დ. ერისთავის „სამშობლო"), ლირსა („ყვარყვარე თუთაბერი"), ხლოა

ეროვნული ბიბლიოთეკა



გ. ბერიაშვილი, „გული ხელის გულზე“ — თაფლო ბაბო



ი. ჭავჭავაძე. „კაცია ადამიანი“ — დარეჯანი —
მ. ღალაშვილი გრიმ-ქალაქობაზე



ა. წერეთელი. „პატარა კახი“ — დედოფალი.

(„ბიძია თომას ქოხი“), პეპელა („აპრაკუნე“), ლედი მილფორდი („ვერაგობა და სიყვარული“), კატო („ქაჯანა“), ჯავარა („მოკვეთილი“), ოლღა ჭავჭავაძე („წიწამური“), ნინო გურიელი („დაჭრილი არწივი“), დარო („ვაზის ტირილი“), მართა („ვაზისუბნელი ძმაკაცები“).

45 წლის მანძილზე მსახიობს თელავისა და რესპუბლიკის სხვა თეატრების სცენებზე 300-ზე მეტი როლი აქვს შესრულებული, რომელთა გარშემო ბევრჯერ გამართულა საქმიანი ბაასი. რაიონული და რესპუბლიკური გაზეთები, კრიტიკა ყოველთვის დიდ შეფასებას აძლევდნენ, აღიარებდნენ მ. ღალაშვილის სცენურ ოსტატობას. გამოჩენილი რუსი თეატრალური კრიტიკოსი ა. ფევრალსკი თელავის თეატრში ვაჟა ფშაველას „მოკვეთილის“ დადგმის გამო გამოქვეყნებულ რეცენზიაში წერდა: „მ. ღალაშვილის ჯავარაში იგრძნობა დედის მგზნებარე გული, მშფოთვარე, მძიმე ცხოვრება, მისი სულიერი ტრაგიზმი, სევდა დაკარგული სამშობლოს გამო. იგი ბახას მკაცრად კიცხავს, შეაჩვენებს, წყევლის, მაგრამ მასთან ერთად იხიზნება. დედა ვერ ტოვებს გზასაცდენილ გაუბედურებულ შვილს. პირდაპირ შემზარავია სპექტაკლის ფინალი, როდესაც ჯავარა უახლოვდება ბრძოლაში განგმირულ შვილს. აქ ჯავარა — ღალაშვილი მწუხარებასთან ერთად გამოხატავს დედის ბედნიერებას იმის გამო, რომ მისი შვილი არ არის სამშობლოს მოღალატე“.

„... დიდი ექსპრესიითა და მხატვრული გამოკვეთილობით ასრულებდა პროფესორ გიორგის მეუღლის როლს გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორაში“ მსახიობი მ. ღალაშვილი“ — წერდა დემნა შენგელაია 1946 წელს თელავის თეატრის თბილისში გასტროლების გამო გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“.

„... მისი ღირსება აქტიორის გულწრფელ თამაშში უნდა ვეძიო, მის მიერ შექმნილ სახეებში აღბეჭდილია ბუნებრივი, აქტიორული ნიჭი და უშუალობა“ — წერდა ერ. ქარელიშვილი მ. ღალაშვილის შესახებ. გაზეთ „კომუნისტში“ 1944 წელს. და კიდევ რამდენი სტრიქონის ამოწერა შეიძლება ამ გამოჩენილი მსახიობის შემოქმედებითს ოსტატობაზე!

შემოქმედებითს პროცესში მსახიობი ყოველთვის თავის ღირსეულ კოლეგებთან იყო, — ბრწყინვალე პარტნიორებთან: თინათინ ბურბუთაშვილთან, გრიგოლ და ქეთევან კევლიშვილებთან, პლატონ ახვლედიანთან, ალექსი კუპატაძესთან, ქეთევან მაჭავარიანთან, მათთან ერთად ქმნიდა თელავის თეატრის ბრწყინვალე ისტორიას და მდიდარ ტრადიციებს.

ჩინებულ მსახიობსა და მოქალაქეს დაბადების 70 და სასცენო მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა, მაგრამ ამჟამადაც გულმოდგინედ, ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს შემოქმედებითს მუშაობას: ვახტანგ ჩელთისპირელთან, ბ. ჯავახიასთან, გ. მამუჩიშვილთან, ო. შუბითიძესთან, გ. პაპოშვილთან, ბ. მარტიაშვილთან, დ. მდივნიშვილთან და თეატრის ახალგაზრდობასთან ერთად კვლავაც ახალ სიხარულს ანიჭებს მაყურებელს.

მიხეილ ზურაბიშვილი,
კულტურის დამსახურებული მუშაკი,
განათლების მუშაკთა თელავის რაიონული სახლის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ითონიშვილი

# ოსთა კულტურისა და ყოფის გამოჩენილი მკვლევარი



60 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაგლოევების ტრადიციულ ოსურ ოჯახში დაიბადა ზინაიდა დავითის ასული გაგლოევა, პარტიის წევრი 1943 წლიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ოსთა კულტურის და ყოფის სახელმოხვეჭილი მკვლევარი.

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ზინაიდა გაგლოევამ 1953 წელს წარმატებით დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და მუშაობას შეუდგა სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ახალგაზრდა მკვლევარს დიდი და საპატიო მოვალეობა დაეკისრა. მაშინდელ ცხინვალში ეთნოგრაფიის საკითხებს მხოლოდ ცნობილი მეცნიერი ზ. ვანეევი იკვლევდა, მაგრამ მას მრავალი სხვა საზრუნავიც ჰქონდა. ფაქტიურად, ეთნოგრაფიის დარგის მესვეურობა ზ. გაგლოევამ იტვირთა. ეს მაშინ, როდესაც ოსთა ეთნოგრაფიულ შესწავლას საკმაოდ მდიდარი ტრადიციები ჰქონდა. გასაბჭოებამდე ოსეთის შესახებ სოლიდური მემკვიდრეობა შეიქმნა (ვახუშტი ბაგრატიონი, ვ. პფაფი, ვ. მილერი, მ. კოვალევსკი, კ. ხეთაგუროვი, ს. კოკიევი...), საბჭოთა ეთნოგრაფებიც დიდ დაინტერესებას იჩენდნენ. მკვლევარს მოეთხოვებოდა როგორც მიღებული მემკვიდრეობის კრიტიკული შეფასება, ისე ახალი მასალების გამომზეურება და ეპოქის მოთხოვნილების დონეზე მისი გაანალიზება.

ზ. გაგლოევამ საკანდიდატო დისერტაცია ოსთა რელიგიის შესწავლას მიუძღვნა, მაგრამ რამდენი ასეთი საკითხის კვლევა იყო გათვალისწინებული სამერმისოდ. არავის გაუკვირდებოდა, თუ იგი მხოლოდ ერთი ძირითადი პრობლემის შესწავლით შემოიფარგლებოდა, მაგრამ რელიგიის გარდა ხომ მატერიალური კულტურის, სოციალურ ურთიერთობათა და სამეურნეო ყოფის პრობლემებიც ეთნოგრაფის ხელს საჭიროებდა. ესოდენ ფართო მასშტაბით მუშაობა კი მხოლოდ ნიჭით, ერუდიციით და შრომისმოყვარეობით გამორჩეულ მკვლევარს შეუძლია. ამ თვისებებთან ერთად ზ. გაგლოევას წარმატების საფუძველია ხალხური ტრადიციების ოჯახიდან შეთვისებული ცოდნა და მშრომელი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარული.

ზ. გაგლოევას ნაშრომებით შესწავლილია მეურნეობის ძირითადი დარგები, სამიწათმოქმედო იარაღები, შრომის ორგანიზაციისა და ურთიერთდახმარების ფორმები, ოსური ეროვნული ტანსაცმელი, საცხოვრებელი, სათავდაცვო და საკულტო ნაგებობანი, ნათესაობის სისტემა და პატრონომია, დიდი ოჯახის გადმონაშთები, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა, რელიგიური რწმენა წარმოდგენები და ხალხური დღეობები. ყოფითი კულტურის ქრონოლოგიურ ჭრილში შესწავლის საფუძველზე მკაფიოდ არის გამოყოფილი დადებითი და უარყოფითი მოვლენები, აღწერილია დრომოჭმული ჩვეულებები, დასახულია მის წინააღმდეგ ბრძოლის პერსპექტივები.

სოციალურ ურთიერთობათა მრავალწლიანი კვლევის შედეგები შეჯამებულია სადოქტორო დისერტაციაში — „ოსთა ეთნოგრაფიის ნარკვევები“. უმთავრესად XIX საუკუნის ეთნოგრაფიული მასალების, ისტორიული წყაროებისა და კრიტიკულად გააზრებული ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე ავტორი ოსთა საზოგადოებრივ ყოფას გვაცნობს ისეთი კომპონენტების მიხედვით, როგორიცაა საქორწინო წეს-ჩვეულებები, ნათესაობისა და პატრონომიის ბუნება, გვარისა და სასოფლო თემის თავისებურებანი. მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებისა და საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა გათვალისწინებით ავტორი დაასკვნის, რომ XIX საუკუნის ბოლომდე ოსთა ყოფაში შემორჩენილი დიდი ოჯახი წარმოადგენდა საოჯახო თემის გადმონაშთურ სახეობას, რომლის დაყოფის შედეგად იქმნებოდა პატრონომია — ერთ უბნად დასახლებული მონათესავე ოჯახების ერთობლიობა. კონკრეტული მონაცემების ანალიზის შედეგად ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა გადმონაშთური მოვლენების მნიშვნელობა კლასობრივ საზოგადოებაში შემორჩენილი უძველესი სოციალური ინსტიტუტების ტრანსფორმირებული ფორმების ან ცალკეული ელემენტების ბუნების შესწავლისათვის.

ემპირიული მასალის მიხედვით ყოფისა და კულტურის საკითხების კვლევასთან ერთად ზ. გაგლოევამ მნიშვნელოვანი წვლილი შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანა ეთნოგრაფიის ისტორიის შესწავლის საქმეშიც.

ზ. გაგლოევა აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მოსამზადებელ სამუშაოებში. მასში აისახება სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის კვლევის შედეგები.

ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეროვნებათაშორისო ურთიერთობისა და ხალხთა მეგობრობის პრობლემას. ამ მიმართულებით ინტენსიური ხასიათი მიეცა კავკასიის ხალხთა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შესწავლას, რაც ხორციელდება ქართველი და ოსი, ქართველი და აფხაზი ხალხების ყოფითი კულტურის ერთობლივ შესწავლაში. ქართველ და აფხაზ ეთნოგრაფებთან ერთად ზ. გაგლოევას მხარდაჭერითა და ინიციატივით არაერთი ექსპედიცია მოეწყო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, შესრულდა და სრულდება რამდენიმე სპეციალური გამოკვლევა. ასეთ კოორდინაციას და, საერთოდ, მეცნიერის ყოველ გამოკვლევას საფუძვლად უდევს მის მიერვე შეკრებილი საველე მასალები. ზ. გაგლოევამ ფეხით მოიარა დიდი და პატარა ლიახვის, ქსნისა და ჯეჯორის ხეობები, სამხრეთ ოსეთის მთა და ბარი, საქართველოს თითქმის ყველა კუთხე და ჩრდილო კავკასიის ტერიტორია. მისთვის ამოსავალია ოსეთის მასალა, მაგრამ შედარებისა და განზოგადოების მიზნით ფართოდ იყენებს ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოგრაფიულ მონაცემებსაც.

ზ. გაგლოევა დიდ შრომას და ენერგიას ახმარს ახალგაზრდა კადრების მომზადებას. მისი აღზრდილები წარმატებით მუშაობენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამეცნიერო-კვლევითსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში, მუზეუმებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ზ. გაგლოევა დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს მშობლიურ ინსტიტუტში, ოლქის მოწინავე საზოგადოებაში, სსრკ ეთნოგრაფთა შორის. სახელმოხვეჭილი მეცნიერი ხშირად გამოდის ოფიციალურ ოპონენტად. მისი ყოველი გამოსვლა და რეცენზია გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციითა და პრინციპულობით. იგი სისტემატურად მონაწილეობს საკავშირო თუ რეგიონალური სამეცნიერო სესიების და კონფერენციების, საერთაშორისო კონგრესებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში.

მ. გაგლოევა თანაბარი სიყვარულით და მონდომებით თანამშრომლობს ცხინვალისა და თბილისის სამეცნიერო დაწესებულებებში. იგი არის რესპუბლიკის რამდენიმე სამეცნიერო საბჭოსა და კომისიის წევრი საზოგადოებრივ საქმიანობათა აქტიური შემსრულებელი. ღვაწლმოსილ მეცნიერს კოლეგიალობა და მეგობრობა აკავშირებს ქართველ ეთნოგრაფებთან, რომლებიც მას უსურვებენ წარმატებებს ყველაზე უფრო ეროვნული და თანამედროვე მეცნიერების შემდგომ განვითარებაში.

რევაზ ასაევი

# შენდამი

ერთ უღელში... ოცდაათი წელია...
შენზე ლექსი ჯერ არ დამიწერია.
მაპატიე. ან რა შენი ბრალია,
კარგი ხარ და ლექსს ვერ ვბედავ ბრალიანს.
წლებს ვიხსენებ: მოწეული თხილივით
გამშვენებდა მოკრიალე ღიმილი.
ხმას ვერ მცემდი, მაგრამ ესეც მყოფნიდა,
რომ შემკრთალი გოგო იყავ სოფლიდან.
მე კი ომის ცეცხლში წრთობილ ვიყავი,
დავიჭერი, ალბათ მიტომ გიყვარდი.
მამამთილი ლხენით შემოგეგება: —
ახსენ ტაბუ, ხმა გამეცო, ეგება...
...და თუ ზოგჯერ შემოგვწყერი, ფხიანო.
არა უშავს, სახლში ჯამიც ხმიანობს.
გმადლობ, გენთო ჩემი კერის ლადარი,
შენ აჩუქე ოსეთს შვილი მხატვარი.
ესეც შენი ღვაწლია და, რა ხანად
ყვავსაც კარგად უჩანს თავის ბახალა..,
ახლა ვწევარ, დამქათქათებს პალატა,
გულით მწვდები, აღარა ვარ ავადა,
„ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე," —
ორმოცდაათს ვითვლი, როგორც წამიერს,
დრო კი თურმე წამით არა ყოვნდება,
თვალს არც ლულავს, ისე მიახლოვდება,
ჩვენ კი უღელს ოცდაათი წელია,
ვეწევით და ჯერ არც ჩაგვიხვენია.
გახსოვს? უწინ ფრენა-ფრენით მიგყავდი,
განა ქალი, შენც ვაჟკაცი იყავი.
დღეს კი, ვიდრე მოვიწიე სამკალი,
გზა ცხოვრების რაც კი დაგვრჩა აქ არი,
ვიდრე ჯერ არ დამშრობია მელანი,
შენზე ვწერ და გენაცვალოს ყველანი,
პალატაში შენთვის ლექსს ვწერ პირველად,
არ დაგირჩეს, ჩემო, გასაკვირველად,
ვიდრე ხარ და კვლავ ჩემს გვერდით იქნები,
არ მოვკვდები, ნუ გაშინებს ფიქრები.
ვარსკვლავი ხარ, გაჩენილი საჩემოდ,
შენი გული მინდა ყველას ვაჩვენო,
ახ, ხელახლა რომ დაიწყოს ცხოვრება
რარიგ ბრძნულად შემეწევა გონება,
თუმც ვერ ვწვდებით წარსულ დღეთა ალიონს,
რაც წინ დაგვრჩა დაე, ტკბილად გავლიოთ.
მომავლის დღეს ვთესავთ ოქროს ქორწილად,
დე მოიმკას შვილიშვილმა ორწილად!

თარგმნა ნაზი კილასონიამ



# დრო სიყვარულის

აბრიალა ცის კაბადონი,
თვითონ კი ნისლის ფარი იფარა.
სადღაც წაბრძანდა მზე-ქალბატონი
რქაზედ მოეჭდო ჩემს ხარს — წიქარას.

ყველგან სიკეთის დატოვა სხივი,
ვით ჯადოსნური თვალი ნატვრისა,
ამოიბუზა ზამთარი ცივი,
შენი დრო დგება რტოო ატმისა.

დრო დგება ახალ ქარების ქროლვის,
ცხელი მზეების, ყვითელ თოვლისა.
დრო დგება სულთა სხვაგვარი თრთოლვის,
დრო სიყვარულის პირველყოვლისა!..

* * *

დიდი ხანია მე ვიცნობ მრავალს:
გელას და კახას,
ოთარს და გურამს,
კარგსა და გლახას,
ტანბრგეს და ჩიას,
აჩიკოს, გიას...
მავანს და მავანს...
დიდი ხანია მე ვიცნობ მრავალს.
თუმც ზოგიერთებს
არ ვიცნობ სულაც.
ვერც მათი სულის
დავხატავ სურათს.

მაინც ვკითხულობ
და ვესალმები
გელას და კახას,
ოთარს და გურამს.

და მაინც ველი,
რომ მოვა ვიღაც,
ახალ ნაცნობში
ვეძებ არჩევანს.
მჯერა, იქნება მართალი ცამდე
და არ დავუწყებ ავ-კარგს გარჩევას;
მოვა ოცნების შორი გზებიდან
და სიკვდილამდე ჩემთან დარჩება.

ნინო არსენაშვილი

შალვა ამონაშვილი

## წერილები ჩემს ქალიშვილს

# დროის განმგებელი

### წერილი მერვე

სალამო მშვიდობისა, ჩემო შვილიკო!

აბა, თუ შეგიძლია, დაუფიქრებლად მითხრა, რამდენი დღისა ხარ? — იქნებ გგონია, რომ მილიონის ან ხუთასი ათასის მაინც? არა, დღეს შენი ცხოვრების 6100-ე დღე დასრულდა. ეს დღე, ისევე როგორც ყველა წარსული დღე, აღარასოდეს განმეორდება.

საცოდავია, შვილო, ის ადამიანი, რომელიც დროში ცხოვრობს და ვერ ხედავს მას, სიცოცხლე ეძლევა, მაგრამ ხელებით ისე დონდლოდ უჭირავს, რომ იქვე სილასავით ებნევა, დროის ფასი არ ესმის! საცოდავია, შვილო, ასეთი ადამიანი — უნიათო, უნებისყოფო, უპერსპექტივო. მის თავში აზრები ისევე ზანტად მოძრაობენ, როგორც ღრუბლების ბოლქვები მოძრაობენ ხოლმე გაყუჩებულ ცაზე, და ეს აზრები ისევე აბურდული და ჩაშავებულია, როგორც იგივე ღრუბლები უმთვარო ღამეში. „ადამიანი მხოლოდ მაშინ არის დროის განმგებელი, როცა დაანაწილებს მას საათებად, წუთებად და წამებად, ანუ ისეთ ნაწილებად, რაც თვით მისი სიცოცხლის ხანმოკლეობას შეესაბამება... სიცოცხლე ხანმოკლედ გვეჩვენება მხოლოდ იმიტომ, რომ უდარდელად ვზომავთ მას ჩვენი დაუფიქრებელი იმედებით". შენ ხომ გიყვარს ანატოლ ფრანსი? ეს აზრი მას ეკუთვნის.

ჩემი რწმენით, შვილო, დროის ყველაზე ნათელი და ბუნებრივი ერთეული დღეა. მზე ჯერ მსტოვრებად ვარდისფერი სინათლის მცირე ჯგუფს გამოგვიგზავნის და თავზე რიჟრაჟი დაგვადგება; ადექიო, ეტყვის ყოველ ჩვენგანს, ფიქრს, შრომას, შენებას, გარდაქმნას, შემოქმედებას, მეგობრობას შეუდექი, იჩქარე სიკეთის ჩადენაო. შემდეგ მზე თავად ამობრწყინდება და ნელნელა გადასერავს ზეცას, გვაკვირდება, როგორ ვქმნით და გარდავქმნით, როგორ გვიყვარს და ვმეგობრობთ, და ყველაფერს იხსომებს. მერე დაეშვება დაბლა და სათითაოდ აიკრეფს სხივებს. თავზე თანდათანობით დაგვეფარება ღამის ბინდი, ზოგჯერ მთვარიანი, ზოგჯერ ბნელი, კუნაპეტი, კუნთები გვიჟუჟუნებს, თვალები გვებლიტება, დაღლილი ვართ და გვეძინება. ძილში კი მზის უხილავი ძალა ისევ აღგვიდგენს ენერგიას, შეგვმატებს ხალისს, გაგვიმტკიცებს წარსულ დღეთა გამოცდილებას, უფრო დაგვაჭკვიანებს და დაგვაბრძენებს, აგვინთებს შემოქმედების ნაპერწკალს და ამასობაში ისევ დაგვადგება თავს რიჟრაჟი, ადექითო, გვეტყვის, აზროვნებას, მეგობრობას, შექმნასა და გარდაქმნას შეუდექითო. და ისევ დადგება დღე — განუმეორებელი და ერთადერთი, — იქნებ თაკარა მზიანი, იქნებ ბურუსიანი, იქნებ სუსხიანი, იქნებ ქარიშხლიანი, მაგრამ ეს ერთი დღე იმწამსვე მზის სხივებივით გამრავლდება და იმდენად იქცევა, რამდენი ადამიანიც არის ჩვენს პლანეტაზე, არც მეტი, არც ნაკლები.

დღეები, შვილო, მზისკენ აღმავალი საფეხურები მგონია. ადამიანთა უმრავლესობა ამ საფეხურებზე ხალისით და ბეჯითად ადის, ერთმანეთსაც ეხმარება; ვის ოფლი წურწურით ჩამოსდის — მკის და თესავს, ვინ ქსოვს, ვინ ჭედავს, ვინ შთაგონებით აქანდაკებს, ვინ ერთ ციცქნა ლექსს წერს, რომელსაც მერე ადამიანთა თაობები სულის ნაწილად გაიხდიან; ვინ ლაბორატორიაში სწორედ დღეს ახალ ელემენტს აღმოაჩენს, ახალ თეორიას შექმნის და უკვე არსებულს თავდაყირა დააყენებს. აზროვნებენ, ქმნიან და გარდაქმნიან ადამიანები და ასე მაღლდებიან, უახლოვდებიან მზეს, რომელიც, ალბათ, კაცობრიობის ყველა საიდუმლო ამოცანაა.

კაცობრიობის ცხოვრება, იქნებ, მართლაც არა თუ წლობით, არამედ საუკუნეებით და ათასწლეულებით უნდა ვიანგარიშოთ, მაგრამ თითოეულმა ადამიანმა თავისი ცხოვრება დღეებით უნდა გაზომოს, რადგან დინებათა და განვითარებათა ამ უწყვეტ ნაკადში საკუთარ ძალთა გამოსაცდელად და გასასაგნებლად, საკუთარი თავისა და სამყაროს შესამეცნებლად — ყოველ მათგანს დროის თავთავისი მონაკვეთი აქვს მიზომილი, რომლის ხანგრძლიობის ფილოსოფია ხალხმა „ვიცი; არ ვიცი; რა არის?" გამოცანაში გამოხატა.

წლები იმედების ბუდეა, დღე კი — თავად არსებობაა, რეალური ცხოვრებაა. ადამიანი შეიძლება წლებმა განადიდოს, მაგრამ ერთმა დღემ — დასცეს; შეიძლება წლებმა მოსპოს, მაგრამ ერთმა დღემ — უკვდავჰყოს. აი, რა არის დღე ადამიანის ცხოვრებაში. ამიტომ უნდა შეჰხაროდე და ეკრძალვოდე, შვილო, საკუთარ დღეს, როგორც შენი არსებობის განუმეორებლობას, შეჰხაროდე და უფრთხილდებოდე მის 24 საათს, ანუ 1440 წუთს, ბოლოსბოლო კი — 86400 წამს; უნდა შეჰხაროდე ძილსა და ღვიძილს; და თუ გინდა სულ მაღლა-მაღლა აჰყვე მზის საფეხურებს და, რაც შეიძლება სრულად გამოიცნო შენი თავი, მაშინ დაღალე საკუთარი დღე შენი არსებობით, დაიღალე შენც იმით, რომ მთელი დღის განმავლობაში აზროვნებდი, ჰქმნიდი, გარდაქმნიდი, თანაუგრძნობდი, მხარში ედექი ადამიანებს. და როცა ამგვარი გარდამქმნელი შრომით დაღლილი შეხედავ ადამიანის ცხოვრებას, მაშინღა დაინახავ, რა დიდი და ხანგრძლივი ყოფილა იგი, ხოლო როცა აღმოაჩენ, როგორ აუცილებელი ყოფილა შენი გაჩენა ამ ქვეყნად, როგორ საჭირო ყოფილხარ ადამიანებისთვის, — მაშინღა იგრძნობ, რა ძვირფასია ყოველი დღე, საათი, წუთი და წამი.

დღე თითოეულ ჩვენგანს მზით და სიცოცხლით ავსებს, თითოეული ჩვენგანი კი ვალდებულია გაავსოს იგი ადამიანური ცხოვრებით.

შენს ცხოვრებაში ახლა ის დრო დგება, როცა სპეციალობას უნდა დაეუფლო. და იმაზე, თუ როგორ დაეუფლები სპეციალობას და რამდენად კეთილშობილი ადამიანი დადგები, — მომავალში ბევრი ადამიანის ბედი იქნება დამოკიდებული. გახსოვს, რა გვიამბეს ამასწინათ საავადმყოფოში, სადაც ბებია წევს? ერთმა ექიმმა მეცხრეკლასელ გოგონას ბრმა-ნაწლავის ოპერაცია გაუკეთა. რამდენიმე დღის შემდეგ გოგონას ჭრილობა გაურთულდა, დაუჩირქდა, ექიმი კი შეშფოთებულ დედას ამშვიდებდა — არაფერია, გაუვლისო. ბავშვი სიკვდილის პირას მივიდა და სხვა ექიმებმა მეორედ გაუკეთეს ოპერაცია, თანაც ვერ დამალეს აღშფოთება „კოლეგის" მიმართ, ელემენტარული წესების უვიცობა რომ გამოავლინა. ეს ვაი-ექიმი ციდან კი არ ჩამოფრენილა!! — ოჯახში, სკოლასა და ინსტიტუტში იზრდებოდა. და, ალბათ, როცა ლექციებზე უნდა მჯდარიყო, „დროს ატარებდა", „დროს კლავდა", სახელმძღვანელოებს ცალი თვალით კითხულობდა, პროფესორ-მასწავლებლებს ცალი ყურით უსმენდა. და, აი, გამოვიდა ინსტიტუტიდან ეგრეთწოდებული „საშუალო" სპეციალისტი და ახლა ადამიანებს „საშუალო" ოპერაციებს უკეთებს. ეს ექიმი ადამიანად მაინც რომ ვარგოდეს, ალბათ, ექიმობას თვითონვე დაანებებდა თავს, მაგრამ რომ არც ადამიანად ვარგა?! რა ეშველება ამ საქმეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ უნივერსიტეტის კარიბჭეს ეტანები. ვთქვათ, გაირბინეს სტუდენტობის დღეებმა, რა მოხდება, თუ ყველა მათგანს თავისი შინაარსით არ დატვირთავ, არ დაღლი და არც თავად დაიღლები ფიქრით, კითხვით, პრაქტიკით, ძიებით? მოხდება ის, რომ მოსწავლეები, რომელთა მასწავლებელიც გახდები, ვერ შეიძენენ შენგან კარგ ცოდნას; საქმეს, რომელსაც შენ გააკეთებ, ხელახლა დასჭირდება გაკეთება... არა, ფიქრიც არ მინდა ამაზე! არავინ და არაფერია იმაზე უფრო საშიში, ვიდრე „საშუალო“ და უვარგისი სპეციალისტი, რომელმაც იცის და არც იცის, შეუძლია და არც შეუძლია, მაგრამ საქმე კი მინდობილი აქვს და, მეტი რა გზაა, უნდა გააკეთოს — უნდა იექიმოს, ხიდები და შენობები დააპროექტოს, აღზარდოს. „საშუალო“ არაფერი არ ვარგა, შვილო, არავინ არ ვარგა „საშუალო“! „საშუალო“ იყო პასპორტისტი ქალიც, რომელმაც შენი პასპორტი შეავსო. ჩვენ მოუთმენლად გავხსენით, შიგ კი დასვრილი გვერდები და შეცდომები აღმოვაჩინეთ, თანაც როგორ დამახინჯებული ასოებით იყო ყველაფერი ჩაწერილი. გული დაგვწყდა, ხალისი წაგვიხდა, ეს „საშუალო“ კი აქეთ შემოგვედავა: რა უჭირს მერე, ასეც ივარგებს პასპორტიო.

არ მინდიხარ, შვილო, ასეთი „საშუალო“. თუ იქნები, უნდა იყო კარგი და საუკეთესო სპეციალისტი; რა ხელობასაც ისწავლი, უნდა ისწავლო მთელი მონდომებით და შემოქმედებით, უთუოდ საუკეთესოდ; დედა რომ გახდები, უნდა იყო მხოლოდ საუკეთესო დედა და მეოჯახე ქალი. და რადგანაც შვილი ხარ, უნდა იყო საუკეთესო შვილი. საერთოდ კი ყველაფერ ამას ერთი დიდი სახელი აქვს — ადამიანი.

გეუბნები — უნდა იყო მეთქი, და ისევ დღეებს ვუბრუნდები. ისე კი არ გამოვა, ჩემო შვილო, რომ უნდა მოთმინებით დაველოდოთ იმ ერთ მშვენიერ დღეს, რომლის შემდეგაც უცბად ყოველმხრივ საუკეთესო ადამიანი გახდები. თუ რამ ცოდნა და ადამიანური თვისებები გინდა შეიძინო, ახლა უნდა შეიძინო, რადგან შენს ასაკში ეს ჯერ კიდევ ადვილად მისაღწევია. ასე უსურვებია მზეს: დროებით მოგანიჭა ძალები და გაგაფრთხილა — ისწრაფე, რომ თვითონვე იქცე ძალად, თორემ მერე ჩემსას უკანვე დავიბრუნებ და ყველაფერი შენს თავს დააბრალეო. ჩვენც ამას გვეუბნება მზე: თუ ამ ბავშვის აღზრდა გინდათ, აი, მომიცია დრო, მოასწარით, თორემ მერე გვიან იქნებაო. ესაა შენი ასაკის ბუნება: ახლა შეგიძლია წარმატებით დაეუფლო კაცობრიობის მონაპოვარს, მერე, ასაკში რომ შეხვალ, ადვილად ველარ ისწავლი და ველარც ადვილად გარდაქმნი საკუთარ თავს.

ახლა! შემოგთავაზებ ერთ წარმოსახვით ექსპერიმენტს, რომლის მსგავსი სინამდვილეში რამდენიც გინდა, იმდენია. ავიღოთ ორი დაიკოს ცხოვრება, გავხედოთ მათ 6100-ე დღეს. ერთი და დილით ადრე ადგა, საუზმე მოამზადა და საავადმყოფოში ბებიას წაუღო. მოეფერა და ანუგეშა კიდეც. მეორე — მოგვიანებით ადგა და დედას წაეჩხუბა — რატომ ყავა არ მომიმზადეო. ერთმა ხუთიექვსი საათი იმეცადინა, წიგნები იკითხა, ლექსები იზეპირა — ვინ იცის, რას მკითხავენ გამოცდაზეო. მეორემ სამი-ოთხი შპარგალკა გადაწერა და იმაზე იფიქრა, კაბის რა ხვეულში ჩაეწყო ისინი, რომ გამოცდაზე შეეპარებინა, ან როგორ ესარგებლა, რომ ვერავის შეენიშნა. ერთმა თავაზიანი უარი უთხრა ამხანაგებს — კინოში ვერ გამოგყვებით, დრო არა მაქვსო. მეორემ დასცინა მას — ესეც მეცნიერი გამიხდაო, და ამხანაგებს სასეირნოდ გაჰყვა. ერთი საღამოს დედას ეხმარებოდა სარეცხის რეცხვაში. მეორე ამ დროს ტელევიზორს მისჩერებოდა.

„რით დასრულდა დღე? ბებია ვინახულე, საწყალს რა დღეში აქვს ფეხი, ნეტა მალე მოურჩეს!.. დედასაც დავეხმარე... ხვალ რა საქმე მაქვს? — თემების წერაში ვივარჯიშებ... იქნებ ძმამ თეატრში წამიყვანოს?“.. ამ ფიქრებით ჩაეძინა ერთს, რომლის 6100-ე დღეც მასავით დაღლილი უკვე ტკბილად თვლემდა მეხსიერების სარეცელზე.

„რა სულელური ფილმები ვნახე... რას იკლავს ჩემი და თავს მეცადინეობით... რატომ არ ვკითხე, როგორ არის ბებია?“.. ამ ფიქრებით ჩაეძინა მეორეს, რომლის 6100-ე დღემ დილიდანვე დაიწყო ქრობა და ახლა მისი უკანასკნელი ნაპერწკალიც უკვალოდ გაქრა.

ვთქვათ, ასე გაიარა სამიათასამდე დღემ: პირველი ქალიშვილი დღეების უმრავლესობას ღლიდა, მათ თავისი არსებობით ავსებდა და თვითონაც იღლებოდა, მეორე კი — დღეების უმრავლესობას „ატარებდა“, „კლავდა“ და, იქნებ, ისიც იღლებოდა... უსაქმურობით.

განა გაგიჭირდება გამოიტანო დასკვნა, რომელი გახდება მათ შორის ნამდვილი ადამიანი და რომელს დააკლდება „გაადამიანურება“?! რომელი დადგება ნამდვილი სპეციალისტი და რომელი — ვითომ სპეციალისტი, „საშუალო“ სპეციალისტი?! ყოველი ახალგაზრდის ნებაა, რომელ სპეციალობას აირჩევს, რადგან მასში საკუთარი მოწოდება უნდა იპოვოს. მოწოდება კი შინაგანი ძალების ისეთი მდგომარეობაა, როცა გრძნობ, რომ სწორედ საქმიანობის ამ დარგში შეგიძლია იპოვო საკუთარი თავი, სრულად გამოავლინო ნიჭი და შესაძლებლობანი. მაგრამ ადამიანი სპეციალობას ეუფლება არა თავისთვის, არამედ სხვებისთვის, რადგან არჩეული სპეციალობით ხალხს, ქვეყანას, სამშობლოს უნდა ემსახუროს. ჰო და აი, შენ თვითონ თქვი, აქვს თუ არა უფლება ახალგაზრდას განაცხადოს: თქვენ რას გიშლით — თუ კარგად არ ვსწავლობ, ჩემს თავს ვაკლებ, თქვენ ხომ არაო. როგორ თუ არაფერს გვაკლებს? მაშ ის არაფერი იყო, მეცხრეკლასელი გოგონა რომ დაიღუპა კინაღამ?!

ჩვენი ოჯახი მშრომელი ოჯახია, შვილო. ბებია ყველას გვივლის, საჭმელს გვიმზადებს, ათასნაირ წვრილმან საოჯახო საქმეს ასრულებს. და დააკვირდი ბებიას: სულ ფუსფუსებს, არ შეუძლია უსაქმოდ იყოს, საქმე რომ არაფერი ჰქონდეს, ძალით გაიჩენს.

ყველას გვაოცებს, როგორი ნებისყოფით შრომობს დედა. აწესრიგებს ოჯახის ცხოვრებას, ჰქმნის მოსწავლეებისათვის ახალ სახელმძღვანელოებს, მონაწილეობს სამეცნიერო თათბირებში, ატარებს სკოლაში გაკვეთილებს. და რაც მთავარია, არცერთ ჩვენგანს არ გვაკლებს ზრუნვას, ალერსსა და სიყვარულს.

მშრომელი ბიჭია შენი ძმაც. ვერასოდეს ნახავ უსაქმოდ — კითხულობს წიგნებს, წერს სამეცნიერო მოხსენებებს, მოთხრობებს, ერთდროულად ორ ფაკულტეტზე სწავლობს. ზაფხულის არდადეგებზე კი ქარხანაში ან სტამბაში მუშად მუშაობს, უყვარს მუშებთან ურთიერთობა. შინაც ბევრ დავალებას ასრულებს, არასოდეს დაგზარდება, არ გისაყვედურებს. თანაც დააკვირდი, როგორი მოსიყვარულე და მზრუნველია ბებიების მიმართ?!

ხომ ხედავ, რომ მეც შრომის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია და შენც, დარწმუნებული ვარ, შრომისმოყვარე ქალიშვილი იზრდები.

ყველაფერ ამასთან ერთად გვიყვარს გართობაც, სტუმრიანობაც, ნათესავებთან და ახლობლებთან მიმოსვლაც, თეატრსა და კინოში სიარულიც.

ყოველი დღის ბოლოს ოჯახის წევრები შევიყრებით ხოლმე ვახშმად, ჩვენს პატარა სასადილო ოთახში და ერთმანეთს ვუყვებით, რა ვაკეთეთ, რა გაგვიხარდა და გვეწყინა, ვის შევხვდით და რა გავიგეთ. აი აქ გამოჩნდება ხოლმე, როგორი დიდი და გრძელი დღე ჰქონია თითოეულ ჩვენგანს და მაინც არ გვეყო დრო, ისე უცბად გაირბინა. ასე მგონია, რომ ჩვენ ყველას ერთი დაუწერელი კანონი ჩამოგვიყალიბდა, რომელსაც ვემორჩილებით და რომლითაც, ალბათ, ვამაყობთ კიდეც:

ჩვენი ოჯახის საწყისი — ურთიერთ სიყვარულია, ხოლო ამ სიყვარულის უმაღლესი გამოვლენა — ურთიერთ საკეთილდღეო საქმიანობა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაა.

ამიტომაც თითოეული ჩვენგანი ცალცალკე და ყველანი ერთად ვღლით დღეს, საღამოობით კი ვგრძნობთ, რომ ჩვენც დავღლილვართ, მაგრამ კმაყოფილნი ვართ, გვიხარია, რომ უკვე ხვალინდელი დღის საფეხურს მივადექით. და როგორი იქნება ჩვენი ხვალინდელი დღე, ეს თავად ხვალინდელი დღის ნებაზე კი არა, ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული.

შენ თავად დაფიქრდი, შვილო, გავიმეტებთ განა „მოსაკლავად“ დროს, ჩვენს ოჯახში? მივცემთ ერთმანეთს ნებას, უკვალოდ დავკარგოთ დღე?

ტკბილ ძილს გისურვებ, ჩემო ძვირფასო, და თუ მაინცდამაინც სიზმარს ნახავ, ჩაჯექი ფანტასტიკურ რაკეტაში, გაფრინდი XXI საუკუნეში და ჩამოგვიტანე ამბავი — როგორ ცხოვრობენ და ილვწიან იქ ჩვენი შვილები.

შენი მამა



17.7.26
საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

# ხვალინდელ დღეზე ფიქრით

ზინაიდა კახელი ზის და თავის პირად არქივს ფურცლავს, წლების მანძილზე ერთად თავმოყრილსა და ცხოვრების ბიოგრაფიად აკინძულს.

მისი მშობლები ზესტაფონში სოფელ ზედა საქარაში ცხოვრობდნენ. ზინაიდამ საშუალო სასწავლებელი წარჩინებით დაასრულა თუ არა, ახალგაზრდა ქალიშვილმა გადაწყვიტა სამსახური დაეწყო. ზესტაფონის სარაიონთაშორისო კავშირის ბუღალტრის თანამდებობა შესთავაზეს, მოსწავლეს გაქვბდნენ და აბა ენახოთ აქაც თუ გვასახელებო.

გოგონა გულმხურვალედ შეუდგა საქმეს. ეს იყო მისი პირველი შრომითი გამოცდა და მანაც ახალ კოლექტივში სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. მაგრამ გული მაინც უმაღლესი სასწავლებლისაკენ მიუწევდა. დღე და ღამეს ასწორებდა. ჯერ — სამსახური, შემდეგ — წიგნების კითხვა-მეცადინეობა, მასალები გამოცდებისათვის ემზადებოდა და ბოლოს თბილისს მოაშურა. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩინებულად ჩააბარა გამოცდა და ჩარიცხულთა სიაში თავსი სახელი და გვარი ამოიკითხა. თვალს არ უჯერებდა. სტუდენტის მერხი მისი სანუკვარი ოცნება იყო და ნატვრა აუხდა კიდეც. ბეჯითად, გულმოდგინედ სწავლობდა. სწრაფად გაირბინა სტუდენტობის დაუვიწყარმა ხუთმა წელმა.

ზინაიდამ ეკონომისტ-ფინანსისტის პროფესია მიიღო და საქართველოს სარეწაო საბჭოს საგეგმო-ეკონომიკურ განყოფილებაში უფროს მეგგმავ-ეკონომისტად დანიშნეს. ახალბედა ქალი მუხლმოუხრელად, დაუზარელად შრომობდა და თანდათან მძლავრად ებმებოდა ამ მეტად რთულ და პასუხსაგებ საქმეში.

დიდი სამამულო ომი დაიწყო. სამშობლოს ძახილზე ვაჟკაცები ფრონტებზე წავიდნენ. შინდარჩენილებს აკლდათ პური, აკლდათ ტანსაცმელი, ადვილი როდი იყო დღედაღამ შრომა სიცივესა და მბჟუტავი ლამფის შუქზე. მათთვის არ არსებობდა სამუშაო საათი, შაბათი და კვირა, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ენერგიას მატებდათ, თავს არ ზოგავდნენ. თავს არ ზოგავდა ზინაიდა კახელიც.

ქალაქში მუქშენილბვა იყო. ინათებდა თუ არა, ზინაიდა სამსახურისაკენ მიიჩქაროდა. სწრაფად, უხმაუროდ მიაბიჯებდა ქუჩაში.

ზინაიდას ძმა ბესარიონი სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდა. შინ სამკუთხა ბარათებს გზავნიდა. ომი დამთავრდა და ხალხმა გამარჯვება იზეიმა. ბესარიონი ზესტაფონს დაუბრუნდა. ომგადახდილი ვაჟკაცის ხელს ნატყვიარი შერჩენოდა. მალე დაქორწინდა, დაწვრილშვილდა. ხუთი ქალ-ვაჟის მამა გახდა.

ზინაიდა ძმის შვილებს ამოუდგა — შვილების გაზრდაში შეეშველებით. და მართლაც ხუთი მშვენიერი ახალგაზრდა — ნათელა, ეთერი, ახმათი, რომანი და რამინი ალუზარდეს დედახამშობლოს. ხუთივემ უმაღლესი განათლება მიიღო. ამათგან ოთხი ინჟინერია, — ერთი ეკონომისტი.

ზინაიდა კახელი 1977 წლიდან პოლიტექნიკური ინსტიტუტის საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსის მოადგილეა. მისი კვალიფიციური ხელი ატყვია ინსტიტუტის საგეგმო-საფინანსო საქმიანობას. დისციპლინიანი, შრომისმოყვარე მუშაკი აქტიურად მონაწილეობს განყოფილების მუშაობის ყველა უბანზე, მინდობილ საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდება. ყველა სახეობის სტატისტიკურ ანგარიშებს თვითონ ადგენს. თავისი საქმის კარგი მცოდნეა.



მაღალკვალიფიციური მეგემავ-ეკონომისტი დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდა კოლეგებს, ასწავლის, მუშაობის გამოცდილებას უზიარებს.

ზინაიდა კახელი შრომისა და საქმიანობის ნახევარსაუკუნეზე მეტ დროს ითვლის. მას 1967 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება მიენიჭა. შრომის ვეტერანი მრავალი მედლით, სიგელით, „საყოფაცხოვრებო მომსახურების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით არის დაჯილდოებული.

ზინაიდა კახელი ისევ ახალგაზრდული ენთუზიაზმით, სიყვარულით, პასუხისმგებლობით ანგარიშობს დაწესებულების ფინანსებს. მარჯვე ხელით კარგად აანალიზებს მასალას. პრაქტიკული გამოცდილება ეხმარება, რომ მისი მოღვაწეობის ყოველი დღე საინტერესო, ღრმაშინაარსიანი იყოს.

გვიან ღამემდე გამოკრთის ოთახიდან სინათლის შუქი. შრომის ვეტერანი ფრთხილად ხურავს საქაღალდეს, თავისი ცხოვრების გავლილ, ნათელ გზასა და ისტორიას, და ხვალინდელ დღეზე ფიქრით შემოკვარული ნაბიჯებს დგამს.

ე. ქუთათელაძე



დიდი სამამულო ომის დამთავრების 40 წლისთავისათვის

# გაქცევა ტყვეობიდან

რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს გუგული მანტკავას დაბადების 75 წელი შეუსრულდა. კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მას დიდი ავტორიტეტი და სიყვარული აქვს მოპოვებული. კოლეგებმა მისი წარსული ცხოვრება კარგად იციან, მრავალრიცხოვან პაციენტებს კი შეიძლება არც გაუგიათ, რომ მათი პატივცემული ექიმი დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილეა.

ომის დაწყებისთანავე, ჯერ კიდევ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გუგული მანტკავა, ფრონტზე გაემგზავრა. იგი მოხვდა 224-ე ქართულ დივიზიაში, რომელიც ქერჩში გმირულად იბრძოდა.

ჩვენი ჯარების მამაცური ბრძოლების მიუხედავად, მტერმა შესძლო თავდაცვის ხაზის გარღვევა. დივიზიის ერთი ნაწილი ფაშისტების გარემოცვაში მოჰყვა... მსუბუქად დაჭრილი გუგული ორი დღე-ღამე ნეიტრალურ ზონაში იმყოფებოდა.

გერმანელები ქერჩში შევიდნენ. ისინი გაავებული ძაღლებივით დაძრწოდნენ და ყველას იჭერდნენ. მძიმედ დაჭრილებს ავტომატის ჯერით ადგილზევე ხოცავდნენ, დანარჩენებს კი ცემითა და ლანძღვა-გინებით ტყვედ მიერეკებოდნენ. ტყვედ მოხვდა გუგულიც.

დაიწყო წამების დღეები — ტყვეობა. გუგული სხვა საბჭოთა მეომრებთან ერთად ფეოდოსიის ტყვეთა ბანაკში მოათავსეს, ვინ აღწერს, რა ტანჯვა-წამებაში გაატარეს აქ მთელი ერთი თვე. აქედან მალე ქალაქ სლავუტის 301-ე საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს... შიმშილისაგან და ცემისაგან ასობით ადამიანი იღუპებოდა, მაგრამ საბჭოთა მეომრები სულიერად არ ეცემოდნენ, ბჭობდნენ, გეგმებს აწყობდნენ, როგორ დაეღწიათ თავი ტყვეობიდან. ბევრმა მოახერხა კიდეც გაქცევა. გუგულიმაც 1942 წლის 10 სექტემბერს საძულველი მტრის ბანაკიდან შესძლო გაქცევა. თვითონაც არ ახსოვს, რამდენ ხანს და როგორ მირბოდა. იგი დაუძლურებული იპოვა სლავუტის მცხოვრებმა სოფიო ვასილევსკაიამ და შეიფარა. მერე იატაკქვეშ მომუშავე ექიმს კაზეიჩუკს წარუდგინა. ეს უკანასკნელი ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ დაენიშნათ ფაშისტებს, რადგან იმ დროს სოფლებში ინფექციური სნეულებანი მძვინვარებდა... კაზეიჩუკმა ყალბი საბუთები შეუდგინა ქალიშვილს და სოფელ ცვეტოხაში სამედიცინო პუნქტი ჩააბარა. მანვე დააკავშირა პოდპოლკოვნიკ ბუინოვისა და რეზნიკოვის პარტიზანულ გაერთიანებას. გუგული პარტიზანთა პირველი ბატალიონის მეთაურის ცალ-ხალიმოვის განკარგულებაში მოხვდა... აქედან დაიწყო მისი პარტიზანული მუშაობის პირველი ეტაპი.

სოფელი ცვეტოხა ტყის ახლოს მდებარეობდა. აქ გადიოდა რკინიგზის ხაზი. აქვე იყო პატარა სადგური, სადაც ტყვია-წამლით დატვირთული ეშელონები მიმოდიოდნენ. მახლობლად შენიღბული საწყობებიც განელაგებინათ. გუგულის პარტიზანებისათვის უნდა ეცნობებინა ხელმისაწვდომი სამოქმედო ადგილები, საწყობების ზუსტი მდებარეობა და მისადგომები, ეშელონების შემოსვლის და გასვლის განრიგი, მცველების შეცვლის საათები...

მეკავშირედ დანიშნული იყო სოფელ ცვეტოხის მკვიდრი — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანტონ რეშეტარჩუკი, რომელიც გერმანელთა ნდობით სარგებლობდა და თავისუფლად დადიოდა სოფლიდან სოფელში. რეშეტარჩუკმა გუგულის გააცნო რამდენიმე სანდო პირი, რომლებიც მედპუნქტში დადიოდნენ, თითქოსდა სამკურნალოდ. თითოეულ მათგანზე გუგული ადგენდა ავადმყოფობის ყალბ ისტორიებს, მკურნალობისთვის დახარჯული და საჭირო მედიკამენტების სიებს, რის საფუძველზეც მოთხოვნებს უდგენდა კაზეიჩუკს. კაზეიჩუკს კავშირი ჰქონდა საწყობების მუშებთან, რომელთა საშუალებით მოულობდნენ საჭირო მედიკამენტებს, სურსათ-სანოვაგეს. ყველაფერ ამასთან ერთად მრავალ საინტერესო ცნობას აწვდიდნენ პარტიზანებს, რომლებიც აფეთქებდნენ საწყობებს, ეშელონებს...

გერმანელები ცოფდებოდნენ, ახლოურებდნენ დაცვას, ეჭვის თვალით უყურებდნენ ყველას, ოდნავ ეჭვმიტანილს აპატიმრებდნენ.

შეწყდა მეკავშირეებთან კავშირი. ერთ დღეს გუგულიც დააპატიმრეს და ორი დღე და ღამე ბნელ სარდაფში ამყოფეს. მესამე დღეს ბნელი სარდაფიდან ძლიერ განათებულ ოთახში შეაგდეს. გუგულის თვალი დაუბნელდა. უბრძანეს მინიშნებულ ადგილზე დამდგარიყო. ქალიშვილი კი უმწეოდ წრიალებდა. — „ვერაფერს ვხედავ" — დაიკვნესა ღონემიხდილმა. მაშინ ერთი პოლიციელი „დაეხმარა" და ისე ძლიერ ჰკრა ხელი, რომ შუბლით კედელს მიახეთქა. გამსკდარი შუბლიდან სისხლმა გადმოხეთქა, დაბარბაცდა და იატაკზე მოცელილივით დაეცა. მას სიცილ-ხარხარი დააყარეს, ცემით წამოაყენეს და დაკითხვა დაუწყეს: „ვისი დავალებით მუშაობდი?" „ვინ არიან შენი პარტიზანი ამხანაგები, მათი გვარები?"

„მე პარტიზანებს არ ვიცნობ", „მე არაფერი ვიცი", — პასუხობდა ქალიშვილი.

ერთმა გერმანელმა ოფიცერმა, რომელიც დაჟინებით მისჩერებოდა ქალიშვილს, მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდნელად დაუღრიალა:

— იუდა?!

— „იუდაო“?! ეს ხომ მათებურად ჩამოხრჩობას ნიშნავს?! — გააჟრჟოლა გუგულის და მისდაუნებურად შეჰყვირა:

— არა, მე ქართველი ვარ!

— რაო, რას ამბობს? — იკითხა ოფიცერმა.

— კავკასიელია, ქართველი!— გადაუთარგმნეს.

— ქართველი?! კავკასიელი?! ოო, აბა, ქართველო ქალბატონო, გვიმღერე თქვენი საყვარელი „სულიკო!“

— ჰო, ჰო, იმღერე, იმღერე! — გამხიარულდნენ ფაშისტები.

ქალიშვილი გაოგნებული იდგა, კრიჭა შეჰკვროდა და ერთხანს ხმას ვერ იღებდა.

— „სულიკოს“ მაშინ ვიმღერებ, როცა ჩვენები მოვლენ!

ოფიცერმა თვალები დააბრიალა, რას ამბობსო?

გადაუთარგმნეს.

მაშინ ოფიცერმა ისეთი ძალით შემოჰკრა სახეში, რომ ქალიშვილს თვალთ დაუბნელდა...

ფაშისტები კვლავ ემუქრებოდნენ და მაგიდაზე დაყრილ წვეტიან სადგისებზე უთითებდნენ:

— აი, ამ სადგისებით დაგჩხვლეტთ და წამებით ამოგხდით სულს, თუ არ დაასახელებ პარტიზანებს, ვისი დავალებით მოქმედებდი? ვინ იყვნენ შენი მეკავშირეები? ტყეში რომ დადიოდი, რას აკეთებდი?..

— ტყეში სამკურნალო ბალახებს ვაგროვებდი... მე ხომ თქვენს ჯარისკაცებსაც ვმკურნალობდი... მე პარტიზანებს არ ვიცნობ, მათ შესახებ არაფერი ვიცი.

— სტყუი, შენ ყველაფერი იცი! — ყვავებივით დასჩხაოდნენ, და რაკი მიზანს ვერ მიაღწიეს, მავთულის მათრახით აუჭრელეს ზურგი, რომლის ნაკვალევი დღესაც ამჩნევია პატივცემულ გუგულის იმ ავბედითი დღის მწარედ მოსაგონებლად.

როცა ფაშისტები დარწმუნდნენ, რომ მისგან ვერაფერს შეიტყობდნენ, ისევ ბნელ სარდაფში უკრეს თავი. მეორე დღეს კი ქალაქ როვნოს საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს.

ბანაკში ქოლერა მძვინვარებდა და ყოველდღიურად ასობით ადამიანი იღუპებოდა. ინფექციის მოსპობის მიზნით ერთ დღეს ფაშისტებმა საშინელი გადაწყვეტილება მიიღეს — ბანაკს ცეცხლი წაუკიდეს და შიგ ცოცხლად ამოწვეს ადამიანები... ვისაც გაქცევა შეეძლო, თავს უშველა. გაიქცა გუგულიც. გარბოდა უმისამართოდ, ეცემოდა, დგებოდა და ისევ გარბოდა. რამდენ ხანს ირბინა, არ ახსოვს, ბოლოს პურის ყანებს მიაღწია და გონიც დაკარგა... დაღამებისას გონს მოვიდა. უკრაინისკენ მიმავალ ქვანახშირით დატვირთულ მატარებლის ვაგონში აიყვანა... შიმშილისაგან დაუძლურებულმა ძლივს ჩააღწია სოფელ მინკოვეცამდე, სადაც ღვთისნიერმა ადამიანებმა შეიფარეს, დააპურეს და პარტიზანებთან მიიყვანეს. [illegible] შეიტყო გუგულიმ, რომ ფაშისტებს ექიმი კაზიჩუკი დაეპატიმრებინათ. ჯერ სასტიკად ეწამებინათ, მერე კი ყველას თვალწინ ჩამოეხრჩოთ. რამდენიმე დღე ეკიდა თურმე კაზიჩუკის გვამი შარაგზის პირას, ხალხის დასანახად და დასაშინებლად.

მალე საბჭოთა არმიამ იწყო შემოტევა. ფაშისტები უკან იხევდნენ. თავისუფლდებოდა უკრაინის ქალაქები და სოფლები, ბოლო ელებოდა მათ პარპაშს საბჭოთა მიწაზე.

პარტიზანული გაერთიანება საბჭოთა არმიას შეუერთდა და ერთად იბრძოდნენ უკრაინის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის.

გუგული ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მებრძოლებს. როგორც კი სლავუტი განთავისუფლდა, გუგული სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა. იგი უკრაინის პირველ ფრონტზე მე-6 არმიის 190-ე დივიზიის მოტომექანიზებული შენაერთის სამედიცინო-სანიტარულ ნაწილში გააგზავნეს. გუგული ექიმიც იყო, ფერშალიც, სანიტარიც. უშიშრად გადადიოდა ცეცხლის ხაზზე და გამოჰყავდა დაჭრილები.

1944 წლის 2 მარტს იგი დაიჭრა და კიევის ჰოსპიტალში მოათავსეს. გამოჯანმრთელებისთანავე, იმავე ფრონტზე 117-ე გვარდიული დივიზიის სამედიცინო-სანიტარულ ნაწილში უფროს სამხედრო ფერშლად გაამწესეს, შემდეგ კი, ბელორუსიის მესამე ფრონტზე მეორე გვარდიული დივიზიის ჯავშნოსან სატანკო ბრიგადის სამედიცინო-სანიტარულ ნაწილში იმყოფებოდა.

ჩვენი ჯარები მიერეკებოდნენ ფაშისტებს. განთავისუფლდა მინსკიც.

მინსკის განთავისუფლებისათვის დივიზიის პირადი შემადგენლობა წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. რა თქმა უნდა, ეს ჯილდო გუგულიმაც მიიღო.

დივიზია ბრესტის, ვიტებსკის, ტერასპოლის, ვარშავის განთავისუფლებას განაგრძობდა. 1945 წლის 4 მაისს დივიზიამ ბერლინის გარეუბნებში გადამწყვეტი შეტევა დაიწყო... ერთხანს ციმენჰაისში შეჩერდა... კაპიტულაციის გამოცხადების შემდეგ კი ბერლინში შევიდა და მდინარე შპრეს მარჯვენა ნაპირი დაიკავა...

დამთავრდა ომი...

სლავუტის სამხედრო კომისარიატმა გუგული მანტკავა დროებით დანიშნა მედპუნქტის გამგედ. რვა თვე მედპუნქტის გამგედ იმუშავა გუგულიმ. მერე საკუთარი სურვილით ლვოვის საავადმყოფოში გადავიდა და სწავლაც გააგრძელა. 1946 წელს თბილისში დაბრუნდა, სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და ქალაქის პირველ საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა, შემდეგ კანისა და ვენსნეულებათა სამედიცინო-კვლევით ინსტიტუტში გადავიდა დერმატო-ვენეროლოგად, დღემდე იქ მოღვაწეობს...

ავადმყოფებს ხიბლავს მისი პროფესიონალური გულისხმიერება და მზრუნველობა. ერთი თავისებურების გამო მკურნალებისაგან გამოარჩევენ კიდეც. სიტყვას არ იტყვის, რომ არ დაამატოს — „გენაცვალოს გუგულიო“, აკი ამბობენ მასზე: „მარტო ტკბილი სიტყვითა და ლამაზი ღიმილით მოარჩენს ადამიანსო“.

ნანა ელიაშვილი

# იუმორი

## ნუგეში

— მამა, იმ გამოცანაში გუშინ საღამოს რომ ამომიხსენი, შეცდომა აღმოჩნდა.

— უჰ, რას ამბობ? დიდად სამწუხაროა!

— ნუ იდარდებ, მამიკო, ვერც სხვა მამებმა ამოხსნეს.

## მადლიერება

— რატომ ეჩხუბები ცოლს განუწყვეტლივ და სიდედრს კი პატივისცემით ექცევი?

— ოდესღაც სწორედ ის იყო ჩვენი დაქორწინების წინააღმდეგი.

## სასამართლოში

— რატომ მოატყუეთ ის ხალხი, ვინც გენდობოდათ?

— იმიტომ რომ, იმათი მოტყუება, ვინც არ მენდობოდა, ბატონო მოსამართლევ, ყოვლად შეუძლებელი იყო!

## ავტობუსში

— ეს რა ყმაწვილები გვეზრდება! არავითარ ყურადღებასა და თავაზიანობას არ იჩენენ. უდისციპლინონი არიან.

— რას უსაყვედურებთ ნეტავი? იმ ჭაბუკმა ხომ დაგითმოთ ადგილი და მშვენივრად ზიხართ.

— მე კი, მაგრამ ჩემი ცოლი რომ ამდენი ხანია ისევ ფეხზე დგას?

## ფოტოატელიეში

— ახლა გაიღიმე, ბიჭუნა და უცქირე, როგორ გამოფრინდება ჩიტი!

— თუ ღმერთი გწამთ, ზღაპრებს მოეშვით! სჯობს აიღოთ ექსპონომეტრი, შეამოწმოთ განათება და სწორად დააყენოთ დიაფრაგმა, რომ ფირფიტა არ გაფუჭდეს.

## საოცრება

ფრაუ მაიერი: (რომელმაც ქმრის კაბინეტში ბლომად ცარიელი ბოთლი აღმოაჩინა), აქ საიდან გაჩნდა?

ქმარი: თვითონვე მიკვირს! არასოდეს ცარიელი ბოთლები არ მიყიდია.

## მოსწრებული პასუხი

ვაჟი: ცოლს ვირთავ და იცოცხლე, ბევრს გაუცრუვდეს იმედი.

ქალი: რატომ ბევრს, შენ ხომ ერთს ირთავ.

## ძილისგუდა

ექიმი: თუ მარტოხელა ხართ, მაშინ ხელს არავის შეუშლით იმით, რომ ძილში ხმამაღლა ლაპარაკობთ.

პაციენტი: შინ კი, მაგრამ სამსახურში დამცინიან კოლეგები.

გერმანულიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვის მოდების ჟურნალიდან

# მოდა





მოდა




# სოფლის გასაჭირი

მე როგორც ქალი და თქვენი ჟურნალის აქტიური მკითხველი, მინდა ჩემი სოფლის გასაჭირზე მოგიყვეთ.

სოფელი ბერულა, სადაც ვცხოვრობ ჩემი მრავალრიცხოვანი ოჯახით, ოთხი კილომეტრითაა დაშორებული ქალაქ ცხინვალიდან. 6 წელიწადია გზის მშენებლობა დაიწყეს და დასასრული აღარ უჩანს. ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ის მოახერხეს, რომ მანქანებით ხრეში დააყარეს და ადრე გაკეთებული გზაც დიდი დატვირთვისაგან ისე დააზიანეს, მტვერით ვიხრჩობით.

ჩვენი სახლი გზის პირას დგას და სარეცხი ეზოში ვერ გამიფენია, სანამ გაშრება ისევ გასარეცხი ხდება. ახლა აღარ იკითხავთ ხილსა და ბოსტნეულს?

მრავალშვილიანი დედა გახლავართ. ბუნებრივია, წყალი და პური დიდი რაოდენობით გვჭირდება, ჩვენ კი ორივეს ნაკლებობას განვიცდით. მაშინ, როდესაც სოფელს აქვს წყლის სათავე, რამდენიმე წყაროც, ხალხი უწყლოდ იხრჩობა! რატომ? ამბობენ, მილები დაჟანგდა, დასკდა და მიმხედავი არავინააო.

ხალხი ამბობს და მხოლოდ ამბობს... თუ ჩვენი წყაროები შეკეთდება, იმდენი წყალი იქნება, სხვა სოფელსაც ეყოფაო, მაგრამ ამ საქმეს დღემდე თავი ვერავინ მოაბა.

ჩვენი მამაკაცები, ვინც კი სოფელშია დარჩენილი (ახალგაზრდები რომ აღარ რჩებიან, ამას თავისი მიზეზი აქვს), წყალს ურმებით, მანქანებით, ხელის საგორავებით ეზიდებიან, მაგრამ როდემდე?!

წყალი წყალია, ახლა პურზეც უნდა შემოგჩივლოთ. ჩვენს მაღაზიაში პური სამ-ოთხ დღეში ერთხელ მოაქვთ, ისიც ისეა გამხმარი, ცულითაც ვერ გაჩეხავთ, თანაც შავია, ტალახისფერი, უსუნო, უგემური.

საინტერესოა, სახლში რომ პურს ვაცხობთ რბილია და სურნელოვანი. მთელი კვირის განმავლობაში ისეა, ახალი გამომცხვარი გეგონებათ, მაგრამ გვიჭირს, განსაკუთრებით ზაფხულში, პაპანაქება სიცხეში თონეში პურის ცხობა, თან შეშისა და წყლის ნაკლებობასაც განვიცდით.

ცხინვალში თუ წავედით, პური კიდეც რომ ვიშოვოთ, იქედან წამოღება გვიჭირს, — ფეხით უნდა წამოვიდეთ. დღემდე ვერ მოხერხდა ჩვენი სოფლიდან ცხინვალამდე რეგულარული ავტობუსის დანიშვნა, ქვეითად სიარული კი დიდ დროსა და ენერგიას გვართმევს.

თქვენი ჟურნალი ყოველთვის ექომაგება ქალებს, ფიქრობს შეუმსუბუქოს შრომა, ამიტომ მოგმართავთ, დაგვეხმაროთ, გვიშველოთ რამე.

ზ. მარუაშვილი,
ცხინვალი.

# როგორ მოვუაროთ ხელებს

ხელის კანი ძლიერ დიზიანდება ქიმიური საშუალებების — ფხვნილების, საწმენდი პასტებისა და სარეცხი სითხეების ზემოქმედებით. ეს რომ თავიდან აიცილოთ, უნდა გამოიყენოთ კანის დამცველი და დამარბილებელი კრემები. ხელის კანის დაცვისთვის კარგი საშუალებაა სითხე, რომელიც სახლშიც შეგიძლიათ დაამზადოთ: ნახევარ ჭიქა გლიცერინს უნდა შეურიოთ ოდეკოლონის მცირე რაოდენობა და ლიმონის მჟავის რამდენიმე კრისტალი ან ნახევარი სუფრის კოვზი ძმარი. ეს სითხე დღეში რამდენჯერმე უნდა შეიზილოთ ხელის კანში.

ბოსტნეულისა და ხილისაგან ხელის კანზე გაჩენილი ლაქები შეგიძლიათ მოიცილოთ პემზით ან განზავებული ძმრით. (1 კოვზი ძმარი 1 კოვზ წყალზე), შემდეგ კი ხელის კანში უნდა შეიზილოთ ცხიმიანი მკვებავი კრემი.

თუ ხელის კანი დაგისკდათ, საჭიროა ხელები რამდენიმე ხნით ჩაყოთ თბილ ზეთში, რომელშიც ჩამატებულია რამდენიმე წვეთი ძმარი. ასევე კარგად მოქმედებს ხელის თესლის ნახარშის აბაზანები. ხელის კანზე კარგად მოქმედებს შემდეგი საშუალებაც: მოხარშული კარტოფილი უნდა დასრისოთ, დაასხათ ცხელი რძე ფაფისებური მასის მიღებამდე. ეს მასა დაიდეთ ხელის კანზე და გაიჩერეთ 30 წუთს. შემდეგ ხელები დაიბანეთ თბილი წყლით და კანში შეიზილეთ მკვებავი კრემი.

ჟურნალ „გოსპოდინიდან" თარგმნა
ელვირა ხარატიშვილმა

# ჩვენი სურვილი

მაპატიეთ თუ თქვენ მრავალრიცხოვან მთხოვნელს მეც შევუერთდები და მოგმართავთ დახმარებისათვის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩემი თხოვნა მასშტაბურია, ჩვენი ახალი უბნის მცხოვრებ ქალებზე ზრუნვით არის გამოწვეული.

ვცხოვრობთ საქარხნო რაიონში. გაჩნდა ახალი უბანი, ახალი მოსახლეობა. კიდევ შენდება სახლები. ვფიქრობთ ამის შესაბამისად უნდა იზრდებოდეს ყოველივე ის, რაც ცხოვრების ნორმალური პირობებისათვის არის საჭირო.

ჩვენ მოწყვეტილი ვართ ცენტრს. წარმოება-დაწესებულებები და ფაბრიკებიც ჩვენგან შორს არის. ქალებს, ვისაც ოჯახი და ბავშვები მთელი დატვირთვით მუშაობის შესაძლებლობას არ გვაძლევს, სურვილი გვაქვს მცირე მაინც გავაკეთოთ. ამიტომ როცა ყური მოვკარით, რომ ზოგიერთ წარმოებაში პენსიონერებს შინ ატანენ შესასრულებელ სამუშაოს, მძივების ასხმაა ეს თუ დეტალების აწყობა ან სხვა სახის სამუშაო, ძალზე გავიხარეთ. ეს მეტად ხელსაყრელი მეთოდი ხელმისაწვდომია არა მარტო პენსიონერებისათვის, არამედ ახალგაზრდა დედებისთვისაც, რომელთაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ, სტუდენტებისთვის და მათთვისაც, ვისაც მუშაობის საპენსიო სტაჟი შესრულებული აქვს, მაგრამ ასაკი არ ჰყოფნის პენსიის დასანიშნად.

დიდად, გავიხარებდით, თუ მოგვეცემოდა შესაძლებლობა ოჯახის მოუწყვეტლივ გვეკეთებინა საერთო და პირადი საქმეც — დავეხმარებოდით ოჯახს ეკონომიურად და საერთო-სახალხო დოვლათის შექმნაშიც მიგვეღო მონაწილეობა.

ვ. იშხანიშვილი,
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საოჯახო კლუბი

# ლობიოს კერძები

ლობიო მეტად სასარგებლო, მაწიერი პროდუქტია, მდიდარია ცილებით, რომლებიც თითქმის არაფრით ჩამოუვარდება ხორცის ცილებს, შეიცავს ბევრ ვიტამინს (მასში განსაკუთრებით ბევრია „B" ჯგუფის ვიტამინი); მიკროელემენტს: რკინას, კალიუმს და ა. შ.

ქართველი კაცისათვის ლობიო ძველად ძირითადი საკვები იყო.

დღეს ლობიო კვლავ ინარჩუნებს თავის „პრივილეგიას", მიუხედავად სხვა მრავალფეროვანი საკვებისა, რომლითაც უზრუნველყოფილია ჩვენი მოსახლეობა.

ქართველი კაცი ლობიოსაგან მრავალ სხვადასხვა და, ასე გასინჯეთ, სადღესასწაულო კერძსაც კი ამზადებს. გთავაზობთ ლობიოს კერძების რამდენიმე რეცეპტს.

## ამოლესილი — იმერული ლობიო

ამოლესილი ლობიოსათვის უმჯობესია მინდვრის, წვრილი წითელი ლობიო. ნახევარ კილო ლობიოს მიწა და კენჭები რომ არ შეჰყვეს, გულდაგულ გადაარჩიეთ, რამდენჯერმე გარეცხეთ, ჩაყარეთ ქვაბში ან თიხის ქოთანში, დაასხით ბლომად (დაახლოებით ორლიტრნახევარი) წყალი და შედგით მოსახარშად. დაახლოებით 1 საათის დუღილის შემდეგ ჩააჭერით 2-3 თავი ხახვი ან პრასი, 3-4 ძირი ნიახური, 2-3 ძირი ოხრახუში და განაგრძეთ ხარშვა. დაახლოებით 2-2,5 საათში ლობიო ხარშვას დაამთავრებს. როცა დარწმუნდებით, რომ ლობიო კარგად დარბილდა და ამოსალესად მზად არის, დანაყეთ 4-5 კბილი ნიორი, წითელი პილპილი (გემოვნებისა და სიმწარის მიხედვით), ხმელი ქონდარი, თუ გაქვთ, ხმელი რეჰანი (უმჯობესია ღიაფოთლიანი, რომელსაც იმერეთში „შაშკვლავს" უწოდებენ), ქინძი (სასურველია მწვანეცა და ხმელიც), უცხო „სუნელი"; ყოველივე ჩაუშვით ლობიოში და ციცხვით — ხის კოვზით, რაც შეიძლება კარგად ამოლესეთ, ბოლოს უყავით თქვენი გემოვნებით კვაწარახი ან ტყემალი. შეგიძლიათ კვაწარახისა და ტყემლის მაგივრად შუა ხორშვაში ჩააყოლოთ ტყემლის ტყლაპის ნაჭრები. გადმოდგმის წინ კვლავ ჩააჭერით ცოტაოდენი ნედლი ქინძი, ნიახური და ოხრახუში. ამოლესილ ლობიოს ძალიან უხდება მჭადი ან ღომი.



## ნიგვზიანი ლობიო

სასურველია დამზადდეს სარის ან ე. წ. „გურული" ლობიოსაგან. ამ ჯიშის ლობიო უფრო სწრაფად იხარშება, ვიდრე მინდვრის, ამიტომ მოსახარშად ნაკლები წყალი უნდა დაასხათ.

დანაყეთ ან ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ 100-150 გრ. ნიგოზი, 100 გრამი ახალი ქინძი, 5-6 კბილი ნიორი; დანაყეთ წითელი პილპილი, ალყა-ალყა, თხელ ნაჭრებად დაჭერით ორი-სამი საშუალო თავი ხახვი, წვრილად დაკეპეთ 100 გრ. ოხრახუში და 100 გრამი ნიახური.

როცა ლობიო კარგად დარბილდება (არ უნდა ჩაგეშალოთ) და წყალს ჩაიშრობს (ოღონდ ძალიან არ უნდა ჩაიშროს, ოდნავ წვენი უნდა ჰქონდეს), ყოველივე ამ საკმაზს უყავით 2-3 სუფრის კოვზი ღვინის ძმარი და კარგად ასრისეთ, შემდეგ ჩაუშვით მდუღარე ლობიოში, კარგად მოურიეთ და მაშინვე ცეცხლიდან გადმოდგით. ნიგვზიან ლობიოს ძალიაშ უხდება მჭადი.

## მოშუშული — მოხრაკული ლობიო

რომელიც გნებავთ ჯიშის ნახევარი კილო ლობიო კარგად მოხარშეთ. ოღონდ ეცადეთ, არ ჩაგეშალოთ. 3-4 თავი ხახვი წვრილად დაკეპეთ და 100 გრამ (შეგიძლიათ მეტიც) ზეთში მოშუშეთ. შემდეგ ლობიო თუშფალანგში მოათავსეთ; როცა კარგად დაიწრიტება, დააყარეთ მოშუშულ ხახვს და შუშვა-ხრაკვა განაგრძეთ; პერიოდულად ურიეთ. ბოლოს უყავით რამდენიც გნებავთ, მარილი, შავი პილპილი და ცეცხლიდა გადმოდგით. ასე დამზადებული ლობიო უფრო აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. კარგია თონის პურთან ერთად.

## კირკაჟი ლობიო

მოხარშული ლობიო წვნისაგან დაწრიტეთ, დაკეპეთ ოხრახუში, ნიახური, რეჰანი, ქინძი, ქონდარი, ხახვი, ყოველივე ეს აურიეთ ლობიოში, მოასხით ზეთი და მოაყარეთ მარილი. ასეთი ლობიო კარგია პურთან ერთად.



## ლობიოს წვნიანი

ნახევარი კილო ლობიო მოხარშეთ ზემოთაღწერილი წესის მიხედვით. უმჯობესია მინდვრის, წვრილი წითელი ლობიო. წყალი იმ ანგარიშით დაასხით, რომ მოხარშვის შემდეგ წვენი ბლომად დარჩეს. ორი-სამი თავი ხახვი წვრილად დაკეპეთ, მოხრაკეთ ზეთში ან, რომელიც გნებავთ, სხვა ცხიმში. ცხიმის რაოდენობა თავად განსაზღვრეთ, საკუთარი გემოვნების მიხედვით. დაჭერით რეჰანი, ქონდარი, პიტნა, ქინძი (ზამთარში ეს მწვანილები გამხმარი და დანაყილი შეიძლება იხმაროთ), ოხრახუში, ნიახური ნიორი, მოხრაკული ხახვი და ყველა მწვანილი მოხარშულ ლობიოში ჩაუშვით, ერთი-ორჯერ ამოუსვით ციცხვი ისე, რომ ლობიო ნახევრად ამოილესოს და ცეცხლიდან გადმოდგით. სუფრაზე მიიტანეთ მომცრო მათლაფებით და მიირთვით კოვზით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ნორჩ მხატვართა ახალი კონკურსი

# „მე ჩემს ოცნებას ვხატავ“

ბავშვებო, ვის არ გიყვართ ოცნება? ოცნება ყველას უყვარს, ბიჭებსაც და გოგონებსაც, დიდებსაც და პატარებსაც, ევროპაშიც და ამერიკაშიც, აზიაშიც და აფრიკაშიც... ხალხს არ შეუძლია, რომ არ იოცნებოს.

„მე ჩემს ოცნებას ვხატავ“, — ასე ეწოდება ნორჩ მხატვართა ახალ გამოფენას, რომელსაც უკვე მრავალი წელია ტრადიციულად ერთად აწყობენ ჟურნალი „სოვეტსკაია ჟენშჩინა“ და საერთაშორისო წიგნის გამოფენისა და ბაზრობის გენერალური დირექცია.

მაშ ასე: რაზე ოცნებობ, ნორჩო მეგობარო? აიღე შენი საღებავები ან ფერადი ფანქრები და შენი ნახატებით დაგვისურათე ყველაზე მთავარი. მაგალითად, ნუთუ შენ არ ოცნებობ, რომ მალე გაიზარდო და გამოხვიდე... თუმცა... რა უნდა გამოხვიდე, ეს ჯერ არ ვიცით, მაგრამ ძალიან კი გვინდა, რომ ვიცოდეთ. და განა შენ არ ოცნებობ, ჩვენს მშვენიერ დედამიწაზე, ზღვებსა და ოკეანეებზე და თვით... კოსმოსშიც იმოგზაურო? რამდენი მოულოდნელი რამ შეიძლება გადაგხდეს თავს, რამდენი ახალი მეგობარი შეიძლება შეიძინო ამ მოგზაურობის დროს!

ჩვენ ძალიან გვაინტერესებს, ყველაზე მეტად რაზე ოცნებობენ მსოფლიოს ბავშვები. მეგობრობაზე? მშვიდობაზე? ბედნიერებაზე? როგორ წარმოგიდგენია შენ მეგობრობა, მშვიდობა და ბედნიერება? დახატე, ჩემო პატარა მეგობარო, შენს ფანტაზიას დიდი გასაქანი აქვს! მოუთმენლად მოველით თქვენს ნამუშევრებს, ძვირფასო ბავშვებო! სულერთია რა ტექნიკით იქნება ისინი შესრულებული — ფანქრით, ფუნჯით, ფლომასტერით, აკვარელით, გუაშით თუ ზეთიანი საღებავებით...

კონკურსში გამარჯვებული დაჯილდოვდება მამასთან და დედასთან ერთად მოსკოვში მოგზაურობით. დანარჩენ ბავშვებს, რომელთა ნამუშევრებსაც ჟიური მოიწონებს, მიეკუთვნება სამახსოვრო დიპლომები, გადაეცემა სუვენირები და საჩუქრები. 1985 წლის მაისიდან კარგი ნახატები ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება. და როცა მოსკოვში საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა გაიმართება, ისინი მის საგანგებო სტენდზე დაიჭერს ადგილს. მილიონობით მოსკოველი და სსრ კავშირის დედაქალაქის სტუმარი ნახავს თქვენს ნახატებს.

ნამუშევრების გამოგზავნის ვადა 1985 წლის 1 მარტამდეა.

ვიმედოვნებთ, რომ ნამუშევრის უკანა გვერდზე გარკვევით და ფაქიზად დააწერთ თქვენს მისამართს (ბინისას), გვარს, სახელსა და ასაკს. კონკურსში მონაწილის ასაკი 15 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

მაშ ასე, კონკურსი იწყება! ველით თქვენს ნამუშევრებს.

ჩვენი მისამართია: 103764, გსპ. სსრკ, მოსკოვი, კუზნეცკი მოსტი, 22, ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას“ რედაქცია.

კონვერტზე დააწერეთ: „ბავშვთა ნახატების კონკურსისათვის“.

გარეკანის პირველ გვერდზე — კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე წევრი დალი სალამაშვილი. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდი; მეოთხეზე — ჯ. ლომაძის ფოტოეტიუდი.

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ჟღენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096 Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4. 10. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 11. 84 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 140.000. შეკვ. 2245 უე 06600



ვაშა!

ზურაბ ხორავას ფოტო.

6 43/156



ფასი 30 კაპ.

ინდექსი 76178